საერთო გაზეთი

№19 (477) • 23 მაისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გიორგი გახარია: „პოლიცია არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას, პოლიცია ეკუთვნის ქვეყანას“

„ჩვენი ძირითადი ამოცანაა მართლწესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და კრიმინალთან ბრძოლა“

გიორგი რუსი

„ყურადღებით იყავით, არ გაგეპაროთ ეს კაცი თქვენ აქედან და ავლაბრის რეზიდენციიდან უცებ წითელ მოედანზე არ ამოჰყოს თავი“.

ნარკოტიკული ომი საქართველოს წინააღმდეგ

SOS! ქვეყანაში 200 000 ნარკომომხმარებელი და 50 000 პრობლემური ნარკომანია

დიახ, ჩვენ ქართველი ფაშისტები ვართ!

დამიბრუნეთ ჩემი ქართული რელიგია

სკანდალური ინტერვიუ არჩილ ღუდუშაურთან

გიორგი გახარია:

„პოლიცია არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას, პოლიცია ეკუთვნის ქვეყანას“

18 მაისს შინაგან საქმეთ მინისტრი გიორგი გახარია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს პლენარულ სხდომაზე პარლამენტართა წინაშე წარდგა. მან მადლობა გადაუხადა დეპუტატებს მისთვის მიცემული შესაძლებლობისთვის, წარუდგინოს მათ სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე თავისი მოსაზრებები, გეგმები, აგრეთვე დეტალური ინფორმაცია ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე, განსაკუთრებით, 12 მაისის ღონისძიების შესახებ. გიორგი გახარიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტში გამოსვლა მისთვის, მისი გუნდისა და მთლიანად სამისტროსთვის არის შესაძლებლობა, ესაუბროს არა მარტო პარლამენტარებს, არამედ ჩვენს მოქალაქეებსაც.

გიორგი გახარია: „გვინდა, წარმოგიდგინოთ რეფორმების გეგმა, რომელსაც ჩვენ დავარქვით სისტემური განახლება. რეფორმების სრული გეგმა გვინდა წარვუდგინოთ პოლიციელებს 31 მაისს, პოლიციის დღეს, და შემდგომ გეწვიოთ თქვენ და კიდევ უფრო დეტალურად გაგაცნოთ ის გეგმები, რომლებსაც ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2018 წლის განმავლობაში.

კონცეპტუალურად ამ გეგმების შესახებ: ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა ჩვენს ქვეყანაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ამოცანაა. საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოებაზე, მართლწესრიგსა და საპოლიციო სერვისებზეც მოთხოვნა დღითიდღე იზრდება – ჩვენს რეგიონშიც და ქვეყანაშიც გამოწვევები მატულობს და ისინი უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამ გამოწვევების საპასუხოდ, სამინისტროში შემუშავებულია სისტემური განახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც სამ მიმართულებას მოიცავს. ეს გახლავთ სტრუქტურული რეფორმები, შინაარსობრივი რეფორმები და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა. თითოეული გულისხმობს კონკრეტულ გეგმას. სტრუქტურული რეფორმების ძირითადი კომპონენტებია: კრიმინალური პოლიციის რეფორმა, საპატრულო პოლიციის რეფორმა, საზღვრის ინტეგრირებული მართვა და ადამიანის უფლებების კომპონენტის დაცვის გაძლიერება ცენტრალურ აპარატში.

კრიმინალური პოლიციის კომპონენტი სამართალდამცავი სისტემის და კრიმინალთან ბრძოლის ხერხემალია. პირველ რიგში, რაც გავაკეთეთ, არის ის, რომ დღეს კრიმინალურ პოლიციაში ხდება სპეციალიზაციის მკაფიო გამიჯვნა. ცალკე გამოიყო საგამოძიებო კომპონენტი და უკვე დავიწყეთ ტესტირება ამ მიმართულებით. საკმაოდ კარგი მონაცემები გვაქვს. რაც ყველაზე მთავარია და რისიც ყველაზე დიდი იმედი გვაქვს, ეს არის ე.წ. უბნის ინსპექტორი, რომელსაც უახლოეს პერიოდში წარმოგიდგენთ უკვე ახალი სახელით და ახალი, განახლებული ფუნქციებით – ეს გახლავთ უბნის ოფიცერი. უკვე შექმნილი გვაქვს მათი კონკრეტული სამოქმედო გეგმა. თბილისის მასშტაბით, ასეთ პოზიციაზე გვჭირდება 365 ადამიანი, 80 ადამიანის მომზადება უკვე დაწყებულია. 10 ივნისიდან გამოცხადდება ღია კონკურსი საქართველოს მოქალაქეებისთვის“.

მინისტრმა ისაუბრა იმ სიახლის შესახებ, რომელიც ქვეითი პატრულის კორპუსის ჩამოყალიბებას ეხება. ამგვარი პატრულირება განაპირობა ჩვენს ქვეყანაში ტურისტების ნაკადის მატებამ, რაც დიდი სარგებელია ეკონომიკისთვის და იმავდროულად, უდიდესი გამოწვევაა სამართალდამცავი სისტემისთვის. 21 მაისიდან ტურისტულ ზონაში საპატრულო პოლიციის ქვეითი ქვედანაყოფის 20 ეკიპაჟის პატრულირების გარდა, ყოველთვიურად მას დამატებით 20 ეკიპაჟი მიემატება. საბოლოოდ, ამ ქვედანაყოფის 60 ეკიპაჟი სრულად გააკონტროლებს თბილისის ტურისტულ ადგილებს.

გიორგი გახარია: „კრიმინალთან ბრძოლაში ვერანაირი წარმატება ვერ იქნება სათანადოდ შეფასებული ჩვენი მოქალაქეების მხრიდან, თუ არ შევინარჩუნეთ ადამიანის უფლებების დაცვის შესაბამისი სტანდარტი. სწორედ ამ მიზნით, ცენტრალურ აპარატში შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელსაც აქვს კონკრეტული ამოცანები, აქვს კონკრეტული გეგმები და მისი მუშაობის ეფექტიანობა უკვე აისახება ციფრებშიც. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე კრიმინალთან ბრძოლის ფასი არის ნული და ვერანაირი შედეგები და წარმატებები ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება“.

გამომსვლელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ანალიტიკისა და ტექნოლოგიების საკითხებს და აღნიშნა, რომ სამინისტროში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ მათს საქმიანობაში ძირითადი მიმართულებები იყოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო მომსახურების ყველაზე მაღალი სტანდარტების მაჩვენებელი.

გიორგი გახარია: „ჩვენი ძირითადი ამოცანაა მართლწესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და კრიმინალთან ბრძოლა. ამ ამოცანებზე შესაბამისი და სათანადო პასუხის გაცემა შეუძლებელია ეფექტიანად მომუშავე პოლიციის გარეშე, ეფექტიანად მომუშავე პოლიციის სოციალური დაცულობის ხარისხი კი უნდა იყოს ძალზე მაღალი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ კრიმინალთან ბრძოლაში ვერანაირი წარმატებები ვერ გაამართლებს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის დაუცველობას“.

მინისტრმა დიდი დრო დაუთმო იმ სპეცოპერაციაზე საუბარს, რომელიც ღამის კლუბებში „ბასიანსა“ და „გალერიში“ 12–13 მაისის ღამეს ჩატარდა. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ პოლიციელს, რომელიც მონაწილეობდა ამ ღონისძიებაში, მით უმეტეს, რომ, მინისტრის თქმით, უფლებამოსილების გადამეტების ვერც ერთი მაგალითი ვერავინ ვერ წარმოადგინა. და თუ მსგავსი მაგალითები წარმოდგენილი იქნება, სამინისტრო შესაბამისს რეაგირებას მოახდენს.

გიორგი გახარია: სამთვიანი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ერთმნიშვნელოვნად ფაქტობრივი მასალებით დადასტურდა, რომ კლუბებში ნარკოტიკული საშუალებების გაყიდვა სისტემური სახით მიმდინარეობდა. ჩვენ, საკონტროლო შესყიდვის საფუძველზე პირდაპირ ვადასტურებთ, რომ კონკრეტული ადამიანები კონკრეტულ კლუბებში სისტემატურად ყიდდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. საკონტროლო შესყიდვა დაფიქსირებული გვაქვს სასამართლო განჩინებით, 20-ზე მეტი კონკრეტული ფაქტი, როგორც მიმდებარე ტერიტორიაზე (მიმდებარე ტერიტორია არ ნიშნავს გვერდით უბანს, ეს არის კლუბის წინ), ისე კლუბის შიგნი თ. სადაც დადასტურებული არ გვქონდა კლუბის შიგნით შესყიდვა, ღონისძიება არ ჩაგვიტარებია. ერთ-ერთ კლუბში გაყიდვას ახორციელებდა დაცვის უფროსი, ადმინისტრაციის ჩვეულებრივი წევრი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: როდესაც მსგავსი მტკიცებულებები გაგვაჩნია, უნდა შევსულიყავით კლუბში თუ არა? ვფიქრობ, აქ კითხვის ნიშნები საერთოდ არ არსებობს. ფორმასთან დაკავშირებითაც გვაქვს შინაგანი რწმენა იმისა, რომ სწორად მოვიქეცით, ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვით. თუ უფლებამოსილების გადამეტების ერთი ფაქტი მაინც დადასტურდება, ამაზე გვექნება აბსოლუტურად ღია, ტრანსპარანტული რეაქცია.

ამასთან ერთად, მინდა გითხრათ, რომ სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ინტოქსიკაციის რაოდენობა კრიტიკულად გაიზარდა, რასაც თავისი ახსნა აქვს. ეს იყო ის ძირითადი გამოწვევები, რის გამოც ჩვენ გადავწყვიტეთ ღონისძიების ჩატარება. იყო ორი კომპონენტი, პირველი – აბსოლუტურად ნათელი მტკიცებულებები და არანაირი ფორმალური იურიდიული შეკითხვები ამ მიმართულებით არ არსებობს, და მეორე – ოპერატიული ინფორმაცია, რის გამოც ჩვენ ეს ოპერაცია ჩავატარე თ.

მინისტრმა განმარტა აგრეთვე, თუ რატომ ჩატარდა ჩხრეკა ღამის კლუბებში მაინცდამაინც ასეთ დროს:

გიორგი გახარია: „არჩევანი იყო ძალიან მარტივი – ან ეს უნდა განგვეხორციელებინა დაახლოებით პირველი-ორი საათის განმავლობაში, სადაც მინიმალური რაოდენობის ხალხი იქნებოდა კლუბებში და მაქსიმალურად ფხიზელი, ან გამთენიისას, 6-იდან 7 საათამდე, როცა იქნებოდა მაქსიმალური რაოდენობა ხალხის და მდგომარეობა იქნებოდა ნაკლებად პროგნოზირებადი. პირველ შემთხვევაში, პრობლემები გვექნებოდა ღონისძიების შემდეგ, რაც მოხდა და ეს აბსოლუტურად გააზრებული გვქონდა, მეორე შემთხვევაში – ღონისძიების მსვლელობის დროს. ეს იყო საგამოძიებო ჯგუფის კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელიც იყო აბსოლუტურად სწორი და გამართლებული. ის, რაც მოხდა ამ ღონისძიების შემდგომ, ეს ჩვეულებრივი აზრის გამოხატვაა, რომლის თავისუფლებაც პოლიციამ უზრუნველყო. თუ იქ ხდებოდა დაკავება, მხოლოდ დაუმორჩილებლობის ნაწილში. ერთადერთი კომპონენტი იყო მაშინ, როდესაც მომიტინგეები ცდილობდნენ გზის გადაკეტვას. აქ იყო გარკვეული, ასე ვთქვათ, დისკომფორტი პოლიციელებსა და მათ ურთიერთობას შორის... არანაირი სახის სპეცაღჭურვილობა ამ ღონისძიებებში გამოყენებული არ ყოფილა“.

პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლის პოლიტიკური შეფასებებისა და დებატების შემდეგ, გიორგი გახარიამ დეპუტატებს დასკვნითი სიტყვით მიმართა. მინისტრის სიტყვის მთავარი ადრესატი რიგითი პოლიციელები იყვნენ.

გიორგი გახარია: „პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო დეპუტატებს. ჩვენთვის პატივია და ძალიან სასარგებლო, წარვდგეთ თქვენ წინაშე. რა თქმა უნდა, მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო თითოეულ პოლიციელს და ვუთხრა, რომ თმენის ვალდებულება არის საფუძველი ჩვენი მოვალეობის შესრულების. კეთილსინდისიერება და ეფექტიანობა არის ის კრიტერიუმები, რომლებიც მოგვცემს საშუალებას, აღვადგინოთ ნდობის ის მაღალი ხარისხი, ურომლისოდაც ეფექტიანი ბრძოლა კრიმინალთან იქნება შეუძლებელი.“.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაპალ-დასაპალის“ სტამბაში; თბილისი, აბელაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

გიორგი რუსი

ეს რა ნატვრა ჰქონია!

ეს რა დარდს დაუღრღნია და დაუდნია!

ეს რა ოცნება უტარებია 5 გრძელი წელიწადის განმავლობაში სამშობლოს სიყვარულით დათუთქულ გულში!

— ერთი ნატვრა მქონდა — პუტინს შევხვედროდი, პუტინთან მესაუბრა, როგორც ტოლს ტოლთან, ისე, როგორც, ვთქვათ, გერმანიის კანცლერს ვესაუბრებოდი, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტს ვესაუბრებოდი. ვიცი, ჩემი ხალხის დიდ ნაწილს სურს რუსეთთან დალაპარაკებაო, — ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრისას.

ხუთი წელი თუ ამაზე ოცნებობდით, ბატონო გიორგი, ხუთი წელი თუ იცოდით, რომ ქართველ ხალხს რუსეთთან ურთიერთობის სურვილი აქვს, ამდენ ხანს რას ელოდებოდით და მაინცდამაინც თქვენი საპრეზიდენტო ვადის მიწურულამდე რატომ მოიტანეთ ამ სანუკვარი ოცნების ასრულება?

თუ ასე გულით გინდოდათ პუტინთან გულითადი მასლაათი, თუ ხვდებოდით, რომ ქართველი ხალხის ერთი ნაწილის შეკვეთა იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტს დალაპარაკებოდით და ორ ქვეყანას შორის წლების განმავლობაში არსებული პრობლემები მოგეგვარებინათ, ვინ გიშლიდათ ხელს, ამდგარიყავით და ხმამაღლა, ოფიციალურად განგეცხადებინათ, რომ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა გინდოდათ.

ხუთი წლის განმავლობაში თავგადაკლული პროდასავლელი იყავით და ახლა გახდით პრორუსული ორიენტაციის და ახლა გაგისკდათ მაინცდამაინც სიყვარულის გუდა?

საოცარი მეტამორფოზაა, საოცარი!

თქვენგან მეტამორფოზები არავის უკვირს, მაგრამ ეს ბოლო სახეცვლილება ნამეტანი მოულოდნელი იყო.

კიდევ ვიმეორებ, თუ ვლადიმირ პუტინთან დალაპარაკება სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან და აუცილებელ საქმედ მიგაჩნდათ, თქვენ, პრეზიდენტ კაცს, ვისთვის რა გქონდათ საკითხავი — ჩასულიყავით მოსკოვში და შეხვედროდით ბატონ პუტინს.

თუ მარტოდმარტო ჩასვლა არ გინდოდათ, „პატრიოტთა ალიანსს“ დამგზავრებოდით, რა პრობლემა იყო?

ჩნდება ეჭვი, ხომ არ უკავშირდება ეს ყველაფერი საპრეზიდენტო არჩევნებს, კერძოდ კი მარგველაშვილის ფარულ სურვილს, კიდევ ერთხელ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი?

კი, მაგრამ, რუსეთი და პუტინი საქართველოს პრეზიდენტობასთან რა კავშირშიაო? — იკითხავს მიამიტი მკითხველი.

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოდით, იმაზე დავფიქრდეთ, რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს გიორგი მარგველაშვილი?

რა მდგომარეობაში იმყოფება და ჩიხშია — „ქართულ ოცნებასთან“ დასაბრუნებელი პირი არ აქვს, ოპოზიციასთან შარიშურიდანაც არაფერი გამოვიდა, ვერც დასავლეთი მოხიბლა თავისი პოლიტიკური ფიგურით, ვერც ქართველ ხალხს შეაყვარა თავი, ერთი აბდუშელიშვილიღა დარჩა მხარდამჭერად და დასაყრდენად და ისიც კატასტროფულად იკლებს წონაში (პოლიტიკურ წონას ვგულისხმობ).

მოკლედ რომ მოვჭრათ, მარგველაშვილი მარტოა დარჩენილი, პოლიტიკური მოკავშირეების გარეშე და, როგორც ჩანს, ახალი, ძლიერი მოკავშირის ძებნაში რუსეთისკენ გადაწყვიტა გაჭრა.

სჭირდება თუ არა რუსეთს ეს არამდგრადი და არასაიმედო მარგველაშვილი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მარგველაშვილს რომ ძალიან, ძალიან სჭირდება რუსეთი, ეს ფაქტია.

როგორც ჩანს, მარგველაშვილს კარგად ახსოვს 2003 წლის ნოემბრის ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რომელიც იმით დამთავრდა, რომ „რევოლუციის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოფრენილმა იგორ ივანოვმა გამარჯვებულად „გამოაცხადა“ — მისი მარჯვენა ისე ასწია მაღლა, როგორც რეფერი სწევს გამარჯვებული მოკრივის მარჯვენას.

მაშინაც ისმოდა ეს კითხვა: რა კავშირში შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთი „ვარდების რევოლუციასთან“, მაგრამ, როგორც გაირკვა, იყო.

უნდა ითქვას რომ, მიუხედავად პროდასავლური ძალებიოს ოპტიმისტური ყიჟინისა და ეიფორიული განცხადებებისა, რუსეთი დღემდე ინარჩუნებს სერიოზულ გავლენას საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ის არის თითქმის ყველგან, მათ შორის იქაც, სადაც მას არც ველოდებით.

რაც მთავარია, საქართველოში არსებობს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ელექტორატი, რომელიც მხარს უჭერს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას და საქართველოს მომავალს მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ორბიტაზე ხედავს.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, ამ ადამიანთა რიცხვი 31%-ს შეადგენდა, რაც ძალიან სერიოზული ციფრია.

შეიძლება დღეს ეს ციფრი ცოტათი ნაკლებია ან ცოტათი მეტი, თუმცა ეს არაფერს ცვლის — პრორუსული ორიენტაციის ამომრჩეველთა ხმები საპრეზიდენტო არჩევნებში ნამდვილად გასათვალისწინებელი ფაქტორი იქნება ყველა საპრეზიდენტო კანდიდატისთვის.

ამ ხმებზე ხომ არ აპირებს ნადირობის დაწყებას ბატონი მარგველაშვილი, როცა რუსეთისადმი ასეთ მოულოდნელ სიმპათიას ამჟღავნებს და, ფაქტობრივად, ღიად და დაურიდებლად აქცევს ზურგს დასავლეთს, რომლის აპოლოგეტადაც აქამდე გვევლინებოდა.

მარგველაშვილის განცხადებას უკვე მოჰყვა გამოხმაურება რუსეთის მხრიდან.

რუსები სულაც არ თვლიან შეუძლებლად მარგველაშვილის ოცნების რეალობად ქცევას. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი, თუნდაც პიარის და პროპაგანდის შესანიშნავი შანსის გათვალისწინებით, ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა შედგეს.

თუნდაც ვერ შედგეს ეს შეხვედრა, მარგველაშვილმა ამ თავისი განცხადებით უკვე ისეთი ფასდაუდებელი მასალა მიაწოდა რუსეთის პროპაგანდისტულ მანქანას (რომელიც, უნდა ითქვას, ბრწყინვალედ მუშაობს), რომ მის დამსახურებას პუტინის კარზე აუცილებლად დააფასებენ სათანადოდ.

რუსეთის მხრიდან მარგველაშვილს გზა ხსნილი აქვს, მაგრამ მთავარი პრობლემები მას შეიძლება საქართველოში შეექმნას.

პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა უკვე უჩვენა ყვითელი ბარათი რუსეთისკენ მზერაგაქცეულ პრეზიდენტს და შეახსენა, რომ ერთია სურვილი, მაგრამ ასეთ შეხვერას სერიოზული მომზადება სჭირდება, რომელსაც, შეიძლება, თვეები მოუნდეს.

თუ ისე წარიმართა მოვლენები, რომ მარგველაშვილი, მოუხედავად სურვილისა, მაინც ვერ მოახერხებს პუტინთან შეხვედრას და თუ ეს ამბავი ქართულ მხარეს დაბრალდება, რუსეთი ამ ფაქტსაც შესანიშნავად გამოიყენებს სათავისოდ და მთელი მსოფლიოს გასაგონად განგაშს ატეხს — საქართველო იმდენად არის დამოკიდებული დასავლეთზე, რომ ქვეყნის პირველ პირსაც კი არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავის ნება-სურვილზე, თავისი შეხედულებების მიხედვით იმოქმედოს.

ფაქტობრივად, მარგველაშვილმა საშუალება მისცა რუსეთს, წაუგებელი თამაში ითამაშოს.

რუსეთი მარგველაშვილის მიერ ბოძებული კოზირით ბევრ რამეს მოიგებს, მაგრამ რას მოიგებს ამ თამაშში თვითონ მარგველაშვილი, ეს მასზე და მის მიერ სამომავლოდ გადადგმულ ნაბიჯებზეა დამოკიდებული.

რაც ამ მომენტში დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ მარგველაშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ხელმეორედ იყაროს კენჭი საქართველოს პრეზიდენტობაზე.

როგორც ჩანს, ძნელია, შეეგუო პრეზიდენტობის დაკარგვას.

ტკბილია პრეზიდენტობა, თან ისეთი პრეზიდენტობა, როგორიც მარგველაშვილს ჰქონდა.

ახლა ის მოკავშირეებს ეძებს, მხარდამჭერებს ეძებს, საყრდენს ეძებს, რომ როგორმე შეინარჩუნოს პრეზიდენტის პოსტი, ამ დიადი მიზნისთვის კი მზად არის, ყველაფერი იკადროს, ყველაფერზე მოაწეროს ხელი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარგველაშვილს რაღაცის პანიკური შიში აქვს.

ეტყობა, მას ეშინია, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ შეიძლება მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და თუ აქედან დროზე ვერ გაასწრო, არ არის გამორიცხული, დაიჭირონ კიდევაც.

კონკრეტულად რა საქმეების გამო შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, ეს ყველაზე კარგად, ცხადია, თვით მარგველაშვილმა იცის და, რა თქმა უნდა, იცის საქართველოს ხელისუფლებამაც.

მარგველაშვილს, ეტყობა, მწარედ ენიშნა ის „ნამიოკები“, რაც მისი მისამართით გაჟღერდა პარლამენტის იმ სხდომაზე, საიდანაც ის თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

პრეზიდენტობის დამთავრების შემდეგ, თუ გასაქცევად შეექნა საქმე, ყველაზე კარგი ადგილი გასაქცევად, რა თქმა უნდა, რუსეთია.

როგორც ჩანს, ამაზეც აქვს ნაფიქრი მარგველაშვილს, რომელიც ახლა მარბიელების მიერ ალყაში მოქცეული ნადირივით აქეთ-იქით აწყდება და ალყიდან თავის დაღწევას ცდილობს.

საქართველოს ხელისუფლებას ვაფრთხილებ — ყურადღებით იყავით, არ გაგეპაროთ ეს კაცი თქვენ აქედან და ავლაბრის რეზიდენციიდან უცებ წითელ მოედანზე არ ამოჰყოს თავი.

ასეა თუ ისეა, გიორგი მარგველაშვილს შანსი აქვს, საქართველოს ისტორიაში გიორგი რუსის სახელით შევიდეს.

მიმომხილველი

საქართველოსთვის საერთაშორისო მასშტაბის ნარკოტიკული ომია გამოცხადებული

ქვეყანაში 200 000 ნარკომომხმარებელი და 50 000 პრობლემური ნარკომანია

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ, 90-იან წლებში, ნარკოტიკების მოხმარების ბუმი იყო, თუმცა, ნარკომომხმარებლები ამას მალავდნენ, ახლა კი, ღიად ამბობენ: მე ნარკომანი ვარო, უფრო მეტიც, მოგვიწოდებენ მათ მივბაძოთ. აქამდე, როგორ მივედით?

— 60-იანი წლების სკანდალურ, სექსუალურ რევოლუციას, რომელიც აშშ-ში დაიწყო არაერთი კლასიკური ნაწარმოები მიეძღვნა, მათ შორის, მილოშ ფორმანის „თმები“, რომელშიც იმდროინდელი ახალგაზრდობის თავისუფლების იდეით საოცარი გატაცებაა გადმოცემული. ეს იდეა ჩამოყალიბდა როგორც სწრაფვა სექსისკენ, ნარკოტიკებისკენ, რეალობისგან გაქცევის მცდელობა. შემდეგ იყო ჰიპების მოძრაობა და რაღაც დოზით ნარკოტიკი მთელს მსოფლიოში

გავრცელდა. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ ყველაფერს (როგორც დადებით ისე უარყოფით კონტექსტში) სწრაფად ვიღებთ და ვამუშავებთ. ამ მიმართულებასაც სწრაფად გამოვეხმაურეთ და 60-იან წლებში თბილისი ნარკოტიკების საშუალებით გართობის საშიშმა ტენდენციამ მოიცვა. ეს იყო მოდა, რომელთა ფუძემდებლები ულამაზესი, უმშვენიერესი ადამიანები იყვნენ, გამორჩეულები ნიჭით, გარეგნობით, ოჯახიშვილობით. ასევე, ქურდული სამყაროს წარმომადგენლებიც. როცა საზოგადოების სახე მოდურ ტრენდს იწყებს, ბუნებრივია, ეს ქვედა ფენებში ძალიან სწრაფად ვრცელდება. შედეგად, 70–80 და, განსაკუთრებით, 90-იანი წლები ქვეყანაში ნარკოტიკული ბუმი იყო.ე.წ. კოგნარის და ოპიუმის შემოტანას, მის მოხმარებას უკან სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ედგა. რა თქმა უნდა, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს, როცა „ზიანის შემცირების ეროვნული ქსელი“ გვიცხადებს: ქვეყანაში 200 ათასი ნარკომომხმარებელია და 56 ათასი პრობლემური ნარკომანი, ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის გარკვეული ფორმით მოშლას, ინვალიდობას, რაც მთელი ერის ტრაგედიაა იმიტომ, რომ 18-დან 45 წლამდე ყველაზე უფრო პროდუქტიული ასაკი ამ ადიქციონერთა რიცხვს მოიცავს.

— ბატონო დიმა, რა ნარკოპოლიტიკა უნდა გაატაროს სახელმწიფომ?

— რა გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს მხრიდან, ვინ იფიქრა რეალური ნარკოპოლიტიკის გატარებაზე, ვინ გაატარა საკანონმდებლო დონეზე დესოციალიზაციის კონცეფცია, რაც რეალურად, ნარკომოხმარებას შეამცირებდა? — ეს კითხვები პასუხგაუცემელია. ასე ნათელი გახდებოდა, რომ ნარკოტიკებთან ერთად ცხოვრება, სიცოცხლის საწყის ეტაპზევე, 100%-იანი, გარდაუვალი კრახია. ამ მიმართულებით მუშაობა არ წარმართულა. 90-იან წლებს თუ ჩავუღრმავდებით, მთავრობის არაერთი წევრი მინახავს საკმაოდ საეჭვო მდგომარეობაში, ხაზგასმით ვამბობ, მთავრობის წევრი და არა რიგითი მოქალაქე, ასევე, პარლამენტის წევრებიც. ბევრ მათგანზე ანეკდოტებიც კი დადიოდა. როცა სახეზეა ასეთი დაუსჯელობა, წახალისება, ბუნებრივია, მომავალ თაობებს ისღა რჩებათ გაიაზრონ: არ შეიძლება თან ნარკოტიკებით იცხოვრო, თან ოჯახი გყავდეს, გქონდეს სოციალური სტატუსი, ყველანაირი პერსპექტივა. ჩნდება კითხვა: მაშინ რატომ არის ნარკოტიკი ცუდი, ხომ? ბუნებრივია, ბავშვის ცნობიერებაში ეს კითხვა ჩნდება და ამიტომაც იყო, რომ 90-იან წლების მეორე ნახევარი ამ გამოხატულების პიკია. როდესაც ვარდების რევოლუცია მოხდა და ქვეყანა სოციალური რეფორმების ლაბორატორიად გამოცხადდა, ამის ფარგლებში რეპრესიული პოლიტიკა დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს ნარკომომხმარებლებს და ზოგადად, ნარკოდანაშაულსაც შეეხო. მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს გული შესტკიოდა ნარკოტიკების მომხმარებლების რიცხვის შემცირებაზე. არა! ამას, უბრალოდ, ფისკალური დატვირთვა ჰქონდა — ყველაზე მეტი ნარკომომხმარებლის არსებობის პირობებში, ამ ადამიანების უკან მდგომი ოჯახის წევრებიდან ამოსაღები კაპიტალიზირებული ქონება კოლოსალურ რაოდენობას წარმოადგენდა, რასაც ათვისება სჭირდებოდა. ამიტომაც, 2006 წლის დასაწყისში კერძო სამართლის იურიდიული პირი — პენიტენციალური სისტემის განვითარების ფონდი შეიქმნა, რომელიც არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის იყო. იგი შეიქმნა პროკურატურის სისტემასთან. ყველა ადამიანს რომელსაც ნარკოდანაშაულისათვის აკავებდნენ იმ დროს ახლადდანერგილი საპროცესო შეთანხმების ნორმას სთავაზობდნენ, რომლის მიხედვით განსაზღვრული სასჯელისთვის შეტანილი თანხის ერთი ნაწილი შედიოდა პირდაპირ ბიუჯეტში, ხოლო მეორე, არაოფიციალური ადვოკატის ხელით უნდა შეტანილიყო კერძო სამართლის იურიდიული პირის სახელზე როგორც შემოწირულობა, რაც საკმარისი პირობა იყო იმისა, რომ პირი გაეთავისუფლებინათ ან ნაკლები სასჯელი მიესაჯათ. ფაქტობრივად, ინდულგენციას ყიდულობდი. **„ნაცმოძრაობის“ დროს ციხეში მჯდომი პირების რაოდენობამ 32 ათასს მიაღწია, ყოველი მეოთხე პირობით მსჯავრდადებული იყო.** 32 ათასიდან 12 ათასი ადამიანი სასჯელს **ნარკოდანაშაულისთვის იხდიდა.** 2007, 2008, 2009 **წლების სტატისტიკას თუ შევხედავთ, მხოლოდ ნარკოტიკული დანაშაულით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელების თანხა, რაც ბიუჯეტში ჯარიმების სახით შედის, ანუ, არასაგადასახადო სეგმენტი, ყოველწლიურად, 30-დან 42 მილიონამდე იზრდება.** ცხადია, ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისგან ამოღებული თანხებით ბიუჯეტის შევსება ხდებოდა. ეს ჩამოყალიბდა როგორც პრაქტიკა,

პროკურატურებს შორის სოციალისტური შეჯიბრებები გაჩაღდა. ის პროკურატურა რომელიც ამ მიმართულებით ყველაზე უფრო ჯალათური, არაადამიანური მეთოდებით უმკლავდებოდა საზოგადოებას, გარდამავალ დროშას იღებდა. ნარკორეპრესიულმა პოლიტიკამ პიკს მიაღწია და ზოგადად, კრიმინალის მიმართ ნულოვანმა ტოლერანტობამ, რაც ასე იქნა გაგებული — 60-ზე მეტი ახალგაზრდა ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს ქუჩაში ჩატარებული, ჩაუტარებელი თუ მერე იმიტირებული სცენარების მიხედვით. ბევრ მათგანზე დღეს სისხლის სამართლის გამოძიებაა დაწყებული, რაც არასაკმარისია იმ სისტემური დანაშაულის მხილებისთვის, რასაც იმ დროს, რეალურად, ადგილი ჰქონდა. საბოლოო ჯამში, მივედით 2011 წლამდე, როდესაც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა. მან თქვა: კმარა, ამ ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას, ქვეყანა დაიწყებს ხელახალ განვითარებას იმ წერტილიდან, საიდანაც „ნაცმოძრაობამ“ გადაუხვიაო. აქ, ჩანს, რომ ივანიშვილი გულისხმობდა სწორედ იმ რეპრესიულ პოლიტიკაზე გადასვლას, რასაც სააკაშვილმა თავის დროზე ნულოვანი ტოლერანტობა დაარქვა. ეს იყო სამართლიანი გარემოს აღდგენა და საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დალაგება. დღეს, პროკურატურაში შექმნილია შვიდკაციანი ჯგუფი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს, თუმცა, ეს საკმარისი არ არის. სამწუხაროა ისიც, რომ სისტემური დანაშაულისთვის არ გასამართლდა თავად „ნაციონალური მოძრაობა“, არ მოხდა დენაციფიკაცია. პირიქით, „ნაცმოძრაობის“ შემომქმედი ადამიანები ის მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები არიან, რომლებიც საქართველოს სახელით აკავებდნენ, აძლევდნენ პასუხისგებაში და გამოჰქონდათ განჩინებები. ამასთან კავშირშია ის, რომ ნარკოპოლიტიკამ არათუ სწორი რეფორმა განიცადა, არამედ პირიქით, ასცდა ყველანაირი განვითარების გზას. ამის ერთ-ერთი თანაავტორი, შემოქმედი არის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, სააკაშვილის მარჯვენა ხელი **გიორგი პაპუაშვილი**, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმდროინდელი თავმჯდომარე, რომლის თავმჯდომარეობის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ — მაკონტროლებელმა ორგანომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციურ უფლებას ნარკოტიკული საშუალების მიღების თავისუფლება დაუკავშირა. ასევე, რატომღაც დაადგინა, რომ ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის 70 გრამამდე ტარება სისხლის სამართლის წესით არ უნდა ისჯებოდეს. აქ პაპუაშვილმა ორი უდიდესი შეცდომა დაუშვა, ერთი — მარიხუანა როგორც ნარკოტიკული საშუალება, მოცულობით — მთლიანი ბალახის რაოდენობითა და წონით არ განისაზღვრება. 70 გრამი კულტურული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა შეიძლება იყოს 80 ადამიანის მოხმარების დოზა, ხოლო ველურად მზარდი — 30–35-ის. აქ, უკვე, სერიოზული აცდენაა, რაც საფუძველია იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დასავლეთ-ევროპის ცივილიზებული და ყველაზე შორს წასული ქვეყნები ნარკოპოლიტიკის თვალსაზრისით, 10 გრამზე მეტს არ ადგენენ, ისიც იმ გრადაციის მიხედვით, რომელი შესაბამისი კულტურიდან გამოდის ნარკოტიკული საშუალება. ზოგადად, როცა ნარკოტიკულ საშუალებაზე ვსაუბრობთ, მიმაჩნია, რომ კარგი და ცუდი, სუსტი და ძლიერი არ არსებობს, ნარკოტიკი არის ნარკოტიკი, რაც იწვევს ქცევით ადიქციებს — ეს არის ფსიქიკის მოშლა გრძელვადიანი თუ საშუალო პერსპექტივით. ნარკომანია გამოუსწორებელი სენია, რაზეც მთელი მსოფლიო თანხმდება. მაგრამ ამას ასე არ თვლის ნეო-ლიბერალური ტრენდი. ნეო-ლიბერალური პოლიტიკური სისტემა, რომელიც თავს

6 გვ.

სიკვდილის ცეკვა „კაიფის“ თანხლებით

ვინ დგას ღამის კლუბების უკან?

12 მაისს „ბასიანის“ „დაპყრობას“ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს რუსთაველი. გაისმა პოლიტიკური მოწოდებები. აქციაზე კი ტრანსგენდერების, გეების, ფემინისტების გარდა თავი მოიყარა პოლიტიკოსებმა და იმ ადამიანებმაც, ვინც ჩათვალეს რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ღამის კლუბ „ბასიანიდან“ იწყებოდა და მთავრდებოდა. მოხდა დაყოფა, ერთ მხარეს იდგნენ „გასხივოსნებულები“, მეორე მხარეს „ბნელები“: „გასხივოსნებულთაგან“ რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა პოლიციელს, იყო გინება, ფურთხი. ეგრედწოდებულ არაცნობადებს მხარი ეგრედწოდებულმა ცნობადებმა აუბეს და ოხრად „დაიყარა“ ზიზღი, აგრესია: მოვუხნათ დედის ტრაკი ამ ბნელებს!” – დავით კოვზირიძე;

„მოგხანთ სალი კლდეები და სახელოვანი წარსული!” – ანა სუბელიანი;

„დაუხეთქეთ თავები და გააჯმევინეთ სახლში მაგათ!“ – სალომე ბარკერი;

„ვიღაც ნაბიჭვრები რომ სხედან იქ სადღაც!“ – ბექა წიქარიშვილი;

„მოდით, ბევრი ვიყოთ რომ მოვუხნათ კარგის ტრაკები!” – ხათუნა გოგებაშვილი;

„ვიღაც ყ.ე სამართალდამცველი თმაში მწვდა“ – მათე ხიდაშელი;

„ჩვენ ვიცავთ თავისუფლების იდეალს, რომელიც მათ დაკარგეს, იმიტომ რომ თავისუფლება არის აქ და არა კაბინეტებში. დამოუკიდიებლობის მოპოვება დიდი ბრძოლის შედეგი იყო. არავინ არ გვაჩუქებს თავისუფლებას და ბრძოლა დღესაც გრძელდება. მივმართავ მაყურებელს, თავს ნუ მოატყუებინებთ ამ ხალხს. მოდით და შემოგვიერთდით, ვინაიდან ეს არის ბრძოლა პროგრესსა და განუვითარებლობას შორის“, – ლაშა ბუღაძე;

„ბასიანს არბევენ, ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს ევროპაში. ესაა კალაძის დანაპირები „ღამის ცხოვრების“ განვითარების შესახებ? ნარკოდანაშაულს ვერაფერი მოუხერხეს და ახლა განტევების ვაცს ეძებენ, ვინმეს უნდათ რომ შეახოცონ ხელი. ღამის ეკონომიკა კრიმინალის დამარცხებამ, უსაფრთხო გარემომ და ტურიზმის ბუმმა შექმნა და არა კალაძის „ღამის სამინისტრომ“.

ნუ ანგრევთ იმას, რაც თქვენ არ შეგიქმნიათ! ჩემი სოლიდარობა ბასიანს!”, – რომან გოცირიძე;

„არ დაგვიტოვეს ადგილი, ისეთი სადაც შეგვიძლია ვიყოთ ისე როგორც გვინდა. ჩვენ არაფერს არ ვაფუჭებთ, ჩვენ არაფერს არ ვაშავებთ. არ ვაშავებთ, როდესაც ვცეკვავთ. მეტი რა გავაკეთოთ?“ – ბაია პატარაია.

დავით ზურაბიშვილი: „კეთილი ინებეთ ხელისუფლებავ და ეს ფაშისტი ნაბიჭვრები მოაცილეთ აქციას!“

დავით გაბუნია: „აქ რაც ხდება არის არანაკლები, რაც ხდებოდა 7 ნოემბერს... ჩვენ აქ ვიდგებით 17 მაისსაც, სამწუხაროდ, აქ ვიქნებით ალბათ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისაც, 26 მაისს“.

გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლებავ! ახალგაზრდებს თმის ღერი არ ჩამოუვარდეს თორე კუდით ქვას გასროლინებთ!“

„სამწუხაროდ, მე დღესაც არ მაქვს პასუხები და კომუნიკაცია გუშინდელ ღამესთან დაკავშირებით. ჩემი დაჟინებული რჩევაა, სასწრაფოდ მოხდეს გუშინდელი ღამის ოპერაციის დეტალური განმარტება, დაიწყოს დიალოგი, თუნდაც განსხვავებული პოზიციების მატარებელ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც დღესაც იბრძვიან თანამედროვე და თავისუფალი ქვეყნის მომავლისთვის. ამ მოცემულობაში, ცხადია ღამის ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი წარმოუდგენელად მიმაჩნია დღეს, თუ ეს წინააღმდეგობები არ გადავლახეთ“, – სერგი გვარჯალაძე.

ღამის ეკონომიკის „მინისტრის“ (რომელსაც თურმე 4000 ლარზე მეტი აქვს ხელფასი და ჯერჯერობით არანაირი პროექტი არ განუხორციელებია) მხარდამხარ „ბასიანის“ დასაცავად „იბრძოდნენ“ დეპუტატებიც, ყოფილები, მომავალი. საბოლოო ჯამში „პრადვინუტული საზოგადოება“ შეჯერდა, რომ რუსთაველზე იდგა „მთელი თფილისი“ და რომ ყველა ვინც „ბასიანში“ არ დადის ბნელია. აქცენტი გადატანილი იქნა ეკონომიკაზე და რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა ჩანდეს, თურმე სერგი გვარჯელაძის „ღამის ეკონომიკა“ „ბასიანზე ყოფილა დამოკიდებული. როგორც ჩანს, არავინ მიაქცია ყურადღება, რომ წინა ხელისუფლების დროს, სასტუმრო „აჭარის“ კლუბში („აჭარა მიუზიკლ ჰოლი“), შეიჭრა სპეცრაზმი, იგივე მოტივით, რაც „ბასიანში“, კლუბის დირექტორი სერგი გვარჯალაძე იყო და თავად კლუბი, ასეთივე ცნობილი, როგორც „ბასიანი”, მაშინ სუბუტექსის დიდი პარტია იქნა ამოღებული. მაშინ საზოგადოება ამართლებდა ძალოვანების ქმედებას და ხელისუფლებას ნარკორეალიზატორების მიმართ კანონის კიდევ უფრო გამკაცრებისკენ მოუწოდებდა. ამდენად, „ბასიანში“ რომ ხედავს გვარჯალაძე გამოსავალს და ღამის ეკონომიკის აღორძინებას, გასაკვირი არაა.

წინმსწრები მოვლენები:

სამწუხაროა, რომ ამ ფაქტებს წინ სიკვდილი უსწრებდა. სიკვდილი, რომელმაც, საზოგადოების დიდი ნაწილი შეაშფოთა, დააფიქრა. სიკვდილი დადიოდა ღამის კლუბებში, ფესტივალებზე (კაზანტიპი). საზოგადოების აზრის გასაგებად, დღეს საუკეთესო საშუალება სოციალური ქსელია და როცა რამდენიმე ახალგაზრდამ სიკვდილს თვალებში ჩახედა დაისვა კითხვები – რას აკეთებს ხელისუფლება? რატომ იყიდება თავისუფლად ღამის კლუბებში გაურკვეველი თუ გარკვეული სახის ნარკოტიკი? რატომ არ აკავებენ „ბარიგებს“? რამდენიმე ადამიანი აქციების მოწყობის ინიციატივითაც გამოვიდა და კანონის გამკაცრება მოითხოვა. საქმე ისაა, რომ მოქმედი კანონის მეტად გამკაცრება, უბრალოდ შეუძლებელია და საზოგადოების მოთხოვნაც, შესაბამისად, აბსურდული. მთავარი, კანონის აღსრულებაა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამას არავინ, ან ძალიან ცოტა ითხოვს.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს უფრო ადრე, წინ უსწრებდა „უსისხლო“ და „უსიკვდილო“ ფაქტები: ორი წლის განმავლობაში, რამდენჯერმე იქნნენ დაკავებულნი ქართული შოუ-ბიზნესის

„ელიტარული“ წარმომადგენლები, რომელთა დასაცავად ცალკე „ელიტამ“ და ცალკე საზოგადოების მუდამ უკმაყოფილო ნაწილმა, მკლავები დაიკაპიწა. მოხდა ისე, რომ დეპუტატებიც ჩაერთვნენ საქმეში და დაკავებულების გათავისუფლების მოთხოვნით „გამომცხვარ“ „პეტიციებზე“ თავიანთი ფაქსიმელე სავიზიტო ბარათივით, დამღად დაასვეს. მოგვიანებით, ერთმა დეპუტატმა ბოდიშიც მოიხადა „პეტიციაზე“ ხელის მოწერის გამო – საზოგადოებას ასე თუ არ უყვარდა ეს „ცნობადი სახე“, ამას როგორ წარმოვიდგენდიო, ხელმოწერა „უკან გამოითხოვა“ და ერთი სიტყვითაც არ დაგმო ფაქტი – დიდი რაოდენობის ნარკოტიკების შემოტანა.

„ელიტამ“ გარისკა და აღიარა, „ცნობადის“ დაკავებამდე ტაბუდადებული საკითხი და განაცხადეს, რომ თურმე „ცნობადმა“ საკუთარი მოხმარებისთვის შემოიტანა განსაკუთრებით დიდი რაოდენობის წამალი. მოგვიანებით, ალბათ, ინანეს აჩქარება – „ცნობადი“ მალე გაათავისუფლეს – არც გამოცხადებული თვითმკვლელობის და არც კონტრაბანდისთვის არ დააკავეს, მისი ნაზი ბუნებისთვის ციხე ზედმეტი იყო.

12 მაისს, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ, მოხდა ისე, რომ იმ ადამიანების ნაწილიც კი, ვინც წინა დღეებში ზედმეტი დოზისგან გარდაცვლილ ბავშვებს გლოვობდნენ, უცებ აღმოჩნდნენ ნარკოტიკების გამსაღებელთა დამცველები. „თეთრმა ხმაური“, რომელსაც თავის დროზე, ჩანასახშივე, ე.წ. ხმაური არ აუკრძალეს და არ დააკავეს ნარკოტიკების პოპულარიზაცია-აგიტაციისთვის, ხელისუფლების შეცვლაზე „აჭიკჭიკდა“, „გირჩმა“, რომელსაც კანაფის დათესვისა და აგიტაციისთვის პასუხი არავინ მოსთხოვა, საქმიანობას არ შევწყვეტთო. „ბარიგებმა“, უკაცრავად, დილერებმა, რევოლუცია „დაანონსეს“. „სტრატეგიულად მნიშვნელოვან“ ადგილზე მეტეორული სისწრაფით გამოცხადებულმა ნაცმაცუნებმა „ამბრაზურას“ როლი იკისრეს.

ასეთ ფონზე „ბასიანის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ტატო გეთიამ განაცხადა: „კვლავ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და კლუბის გახსნის კონკრეტულ ვადას ვერ გვეუბნებიან, თუმცა საუბარი არ არის თვეებზე, საუბარია დღეებზე“. ანუ, „ბასიანი“ ზარალის ანაზღაურებას ითხოვს

და პარალელურად აცხადებს რომ თურმე კლუბში, ნარკოტიკი კი არა, ციტრამონი იყიდებოდა.

„ბასიანის“ გარდა პოლიცია შევიდა ღამის კლუბ „გალერიში“, თუმცა დიდი ვნებათაღელვის ფონზე „გალერი“ არავის გახსენებია. სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია: „კლუბი “ბასიანის” მთავარი მოწილე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანია! აკაკი ხურციძე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსი 2012 წლამდე, აკაკი ხურციძის ვაჟი, გიორგი ხურციძე უკრაინაშია...

კლუბი „ბასიანი“ – წილები და მეწილეები:

6 გვ.

საქართველოსთვის საერთაშორისო მასშტაბის ნარკოტიკული ომია გამოცხადებული

4 გვ.

მოგვახვიეს, თვლის, რომ ადამიანს ეკუთვნის თავისი სხეული და მისთვის რაიმეს აკრძალვა ეტიკეტირების მცდელობაა. თურმე, ვალდებულება გვქონია, როდესაც პირი ნარკოტიკის სისტემატურ მოხმარებას დაიწყებს და ეს ყველაფერი დაავადებაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის მოსპობაში გადავა, ჩვენ, გადასახადის გადამხდელმა სხვა ადამიანებმა მისი მკურნალობა დავაფინანსოთ. ეს არ არის არც ევროპული სტანდარტი, არც რომელიმე განვითარებული ქვეყნის პრაქტიკა. შეიძლება ბევრს ჩვენს გარშემო კონსპირაციის თეორიის არ სჯერა, მაგრამ ეს არის ძირითადი დემოგრაფიული პლაზმის შეცვლის დაჩქარების კატალიზატორი. ერის, ქვეყნის მტერმა, გარკვეულმა რეაქციულმა ძალამ კარგად მიაგნო თუ რა არის ყველაზე სუსტი წერტილი ქართველი კაცისთვის — ეს არის ნარკოტიკული საშუალების მიღება, რაც არ არის ექსპერიმენტი, რასაც დღეს ქართ-

უნდა იყოს შეფასებული როგორც რიგითი დანაშაულის ჩამდენი პირი. ასეთი ადამიანი რა სასჯელს იმსახურებს?

— ნარკომოვაჭრე ნარკოდივერსანტი, ჩვეულებრივი მეომარი, ქვეყნის რეაქციული ძალების წარმომადგენელია, რომელიც სიკვდილს ავრცელებს ანუ, სიკვდილით ვაჭრობს. ამიტომ, **სიკვდილით მოვაჭრეს — სიკვდილი. განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ, ვინაიდან ამის იქით, დასაკარგი, აღარაფერი გვაქვს.** 10 დღის განმავლობაში ღამის კლუბებიდან გამოსული 16 ადამიანი გარდაიცვალა, აღნიშნული პროცესი არ ჩერდება, ნარკოტიკის ბუმს ხელს უწყობს დახვეწილი ტექნოლოგიებით ინტერნეტით ვაჭრობა. როცა ვაიბერზე, ფეის-ბუქზე მოგვდის ინფორმაცია, რომ შეგვიძლია ნარკოტიკული საშუალება თავისუფლად შევიძინოთ თუკი გარკვეულ მისამართზე თანხას გადავრიცხავთ და ნარკოტიკი შეიძლება საკუთარი სადარბაზოს კიბის უჯრედზეც კი ვიპოვოთ, ეს ნიშნავს, რომ ნარკო- იყო ორკესტრირებული, ორგანიზებული და დაფინანსებული გარკვეული ძალების მხრიდან, კარგად დავინახეთ ორი-სამი ათასი ახალგაზრდა გამოსული რუსთაველის გამზირზე, რომელთა უმრავლესობა წარმოუდგენლად მძიმედ იქცეოდა, მათ ქმედებებში აღინიშნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები — მუქარა, ხულიგნობა, ძალადობისკენ მოწოდება და ეს ყველაფერი რატომღაც დაუსჯელი დარჩა. გახარიას მისვლა ადგილზე უპრეცედენტო იყო. ვეთანხმები, რომ იმ მომენტში მიზანი საშუალებას ამართლებდა და დიპლომატიური ხრიკის გამოყენებით მართული პროცესის დეესკალაცია უნდა მომხდარიყო. მინდა მას ვთხოვო: ყველა იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულს ჩადიოდა, გამოძიება დაიწყოს. არ შეიძლება ისეთი რამ დარჩეს დაუსჯელი, რაც შემდგომში გადამდები იქნება როგორც მაგალითი. მით უმეტეს, როცა საქმე ახალგაზრდებს ეხება, რომლებიც მსგავს რამეს ღრუბელივით იწოვენ. სანამ ეს

ველი ხალხი საკუთარ თავზე გადის. თუ მე-19 საუკუნის ისტორიას ჩავუღრმავდებით, გავიხსენოთ ბრიტანეთის იმპერია, რომელმაც ჩინეთში ნარკოტიკული ინტერვენცია განახორციელა, რამაც ათეულობით მილიონი ჩინელი სიცოცხლეს გამოასალმა. ბრიტანეთი პირდაპირ ზარბაზნებიდან ისროდა ოპიუმის შეფუთვებს. ჩინეთი სრულმა ეპიდემიამ მოიცვა. შედეგად, ჩინეთმა ჰონგ-კონგის კუნძული და ყველა მნიშვნელოვან პორტზე კონტროლი დაკარგა. ამით იმის თქმა მინდა, რომ **საქართველოში თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ ეს კონსპირაციაა და ჩვენი მოწამვლა შეგნებულად არ ხდება, ძალიან ცდება. ფაქტები შემდეგია: მხოლოდ ორ თვეში ამოღებულია 4კგ ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი, რაც დაახლოებით, 50 ათასი ადამიანის მოხმარების დოზაა. ასეთი პატარა ქვეყნისთვის მხოლოდ ორ თვეში ამოღებული დოზით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ნარკოტიკული ომია.**

— თქვენ საკუთარ ფეის-ბუქზე დაწერეთ, რომ ნარკომოვაჭრე არ

რეალიზატორები, მათი მფარველები და ორგანიზატორები აქვე, ჩვენს გვერდით არიან.

— ბატონო დიმა, როგორ აფასებთ 12 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციას?

— იმედის პირველი მერცხალი იყო სწორედ რვა ნარკორეალიზატორის დაკავების ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ურემი გადაბრუნდა და ეს პირები მერე დააკავეს, თავისთავად ცხადია, რვა დივერსანტის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია თავისი შედეგებით ძალიან მნიშვნელოვანია. პარლამენტში გამოსვლისას ბატონი გახარიასგან გავიგეთ, რომ ამ პროცესში უცხოელი კოლეგებიც იყვნენ ჩართული, რათა უმაღლესი ტექნოლოგიები გამოყენებულიყო. ეს მხოლოდ მისასალმებელია. ოპერაციის ჩატარებიდან ერთ საათში გავაკეთე განცხადება: შსს-ს არცერთი ნაბიჯი უკან არ დაეხია, არ მოქცეულიყო იდეოლოგიური მარწუხების ქვეშ, ვინაიდან ხალხი და საზოგადოება მის გვერდით იდგა. როდესაც ნარკობარიგების დაკავებას მძლავრი საპროტესტო მუხტი მოჰყვა, რომელიც კარგად დაფინანსებული შაბაში დაიშლებოდა, მეგობრების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ უპრეცედენტო ხასიათის აქცია ჩაგვეტარებინა, კერძოდ, მხარი დაგვეჭირა შსს-ს მოქმედებებისთვის. ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი მხარდამჭერთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ის ერთი მუჭა ადამიანები, რომლებიც იქ, დესტაბილიზაციის მოხდენას ცდილობდნენ. მაგალითად, ჟურნალისტიკაში ცნობილი ადამიანები, მათ შორის, ბატონი კოვზირიძე მეტსახელად „მძიმე კაცი“, საზოგადოებას, პოლიციას დედის გინებას არ აკლებდა და ახალგაზრდობას ძალადობისკენ მოუწოდებდა. ჩვენმა განცხადებამ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა. იმ აქციაზე იმყოფებოდნენ ადამიანები რომელთა დანდობა, უბრალოდ, არ შეიძლება. ჩვენი აქციით, როცა 17 მაისს ერი და ბერი ერთად დავდექით, მსოფლიოს ვანახეთ, რეალურად, თუ რა ღირებულებებს იცავს ქართული საზოგადოება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

(დასასრული იქნება)

სიკვდილის ცეკვა „კაიფის“ თანხლებით

5 გვ.

– აკაკი ხურციძე 50%
– ნიკო ნიკოლაძე 10%
– ნათია ორაშვილი 10%
– ზვიად გელბახიანი 10%
– ივანე გეთია 10%
– ვახტანგ გოცაძე 10%“.

ასევე სოციალურ ქსელში, „გალერის“ შესახებ ვრცელდება ინფორმაცია: „გალერი“ იყო ჩერნიგოველის სახელობის ეკლესიის შენობა. შენობა გროშებად გაიყიდა 90-იან წლებში, აფხაზეთის ომის დროს.

საინტერესოა ასევე ისიც, რომ, მაგალითად „ბასიანში“, როგორც ამბობენ, თავისი „სადილერო“ „ბუტკა“ აქვს გახსნილი ცნობილი მომღერლის ცნობილ ქმარს. ხოლო „გალერიში“ გადაღებული ვიდეოები, რომელიც სოციალურ ქსელში იქნა გამოქვეყნებული, სხვა არაფერია თუ არა გარყვნილება. არც „ბასიანი“ და არც „გალერი“ დღევანდელი და გუშინდელი „პროდუქტი“ არაა. „გალერი“ უფრო მხცოვანია, „ბასიანი“ უფრო ახალგაზრდა, მაგრამ ამ ორივე „ღამის ეკონომიკის მთავარ სიძლიერეს“ აკავშირებს პოლიტიკა.

„ბასიანის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 10%-იანი წილის მეპატრონე არის ზვიად გელბახიანი. ზვიად გელბახიანი არის ვალერი გელბახიანის ძმის შვილი. თავის მხრივ ვალერი გელბახიანი, როგორც თავად აცხადებდა, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იდევნებოდა. მეტიც, ბადრი პატარკაციშვილთან ურთიერთობისა და მისი შტაბის ხელმძღვანელობის გამო, ის თურმე სასიკვდილოდ გაწირეს. ისმის კითხვა: მაშ როგორ მოხდა რომ „დევნილი“ ვალერი გელბახიანის ძმის შვილი „ბასიანში“ 10%-იანი წილი მფლობელია? იმიტომ ხომ არა, რომ თავის დროზე, როცა ვალერი გელბახიანი დაბრუნდა საქართველოში (დედა მყავს ავად და მომეცით ნება რომ ვნახოო, ამ მოტივით ჩამოვიდა და ნება მისცეს კი არა, ხელიც არავინ ახლო თუ არ ჩავთვლით ერთდღიან პატიმრობას) საქართველოს მთავარი ნარკუშა და ნარკობარიგა ირაკლი – ერეკლე კოდუა აეროპორტში დახვდა? ვინმემ არ თქვას, ეს ევალებოდაო. ჰო, აბა, თურმე, ეგრედწოდებულ პოლიტიკურ დევნილს სოდ-ის უფროსზე ნაკლები არ უნდა დახვედროდა აეროპორტში და თან არ დაგავიწყდეთ, ამ „სტუმართმოყვარე აქტის“ დროს კოდუა გელბახიანის სს საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო.

რუსთაველზე აქციაზე მისულმა გახარიამ, აქციის მონაწილეებს მოსთხოვა ბოდიში მოეხადათ იმ პოლიციელებისთვის, ვისაც შეურაცხყოფა მიაყენეს. იმ ადამიანებმა, რომელთაც არა ერთ კომენტარში აღიარეს, რომ კლუბში „კაიფის გამო დადიოდნენ“ (დაგვაცადეთ ჩვენ ეს გვისწორდება) ბოდიშის მოხდაზე უარი განაცხადეს. პარლამენტში გახარიამ გამგებთათვის გასაგებად თქვა, გამოძიება მიდის და გვაცალეთ ყველა თავისას მიიღებს, პოლიციელთა შეურაცხყოფისთვისაც და ნარკოტიკების გასაღებისთვისაცო. ახლა „საქართველოს მომავალს“, „დაგვაცალეთ კაიფი, ჩვენ ეს გვისწორდება“ ხალხს არჩევანი არა აქვთ. ეგრედწოდებულ ლიდერებს, თავისი დამცველებითურთ ცხირ-პირში მიარტყეს ფირები, სადაც ბარიგობის, წინააღმდეგობის გაწევის და შეურაცხყოფის კადრებია აღბეჭდილი. ერთადერთი გზა, რაც მათ დარჩათ ისევ აქციის მოწყობაა, თუმცა როგორც „ცნობადმა სახე“ ნიკა ქავთარაძე წერს: „მოვიდა ტიპი ჩვენს მოედანზე და მივეცით საშუალება, რომ მისი

წესებით გვეთამაშა“. გახარიამ დიდი ანგარიშით მოუგო საპარლამენტო ოპოზიციასაც. ამდენად, ლიდერებმა უკვე იციან, რომ ჩანასახშივე წაგებულ აქციას, მოწოდებას – „თავისუფლებას გვართმევენ, თავისუფლება დავიცვათ“ – ანკესზე ტრანსგენდერების და „ჩვენ კაიფი გვინდა“ ხალხის გარდა, მხარს არავინ დაუჭერს.

ახლა ისინი სხედან და ტირიან...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

დამიბრუნეთ ჩემი ქართული რელიგია

რას ღაღადებენ ქვები?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია სკანდალური განცხადებებით ცნობილი რესტავრატორი, ქვაზე ჩუქურთმის ოსტატი, ბატონი არჩილ ღუდუშაური.

— სად აღარ მივედი — არავინ მისმენს... საშინელი სენია მოდებული: უცოდინარობა, გაუნათლებლობა, ისევ და ისევ ყოველგვარი უცხოურის თაყვანისცემა... ქართული აღარაფერი უნდათ... საქართველოს ისტორია გაყალბებულიაო, გიკვირთ! კარგი, გააყალბეს შენამდე, შენ რომ მოხვედი, როგორადაც შეგიძლია, თქვი სიმართლე!

საქართველო ზესაოცარი ქვეყანაა საკუთარი სალოცავი მდინარეებით, მთებითა და ნაგებობებით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გადაკეთდა უცხოური რელიგიებით — დაწყებული ქრისტიანობით, დამთავრებული მუსლიმანობით, ყველას მითვისებული აქვს ქართული სალოცავები, ძველებიც და ახლებიც... მაგალითად, უფლისციხეში ქართველთა ღმერთის ტაძარი დაინგრა და გადაკეთდა ქრისტიანულად, ისევე, როგორც მცხეთაში. სვეტიცხოველი კი არ აშენებულა, არამედ გადაკეთდა. სვეტიცხოველს აქვს სამი კედელი, შიდა კედელი არის ქართველთა ღმერთის სალოცავი, რომელიც გარედან შეფუთეს ქრისტიანული კედლით. ეს იმდენად უხეიროდაა გაკეთებული, მითუმეტეს მისთვის, ვინც იცნობს ბერძნულ კულტურას, მასზე საუბარიც კი სამარცხვინოა. თვით ტაძარი ბერძნული არქიტექტურული მიმდინარეობის შენობაა. დღემდეა შემორჩენილი ქართული სიმბოლოები სვეტიცხოველზე: გონიო, ბორჯღალი, ვაზი...

— „ქართულ რელიგიას“ თქვენ რას უწოდებთ?

— მაგალითად, „გიორგი“ არის ქართული ღვთაება...

— „გიორგი“ ბერძნულია და მიწათმოქმედს ნიშნავს...

— საქმე მაგაში გახლავთ, რომ როგორც ბევრი სხვა რამ, მითვისებული აქვთ ბერძნებს. ორივე „გიორგობა“ მიძღვნილია მის წამებასა და სიკვდილზე, დაბადებასა და წარმატებაზე არ არის აქცენტი, რატომ, არ დაბადებულა? ქართული ღვთებაა და იმიტომ!

— კაპადოკიაში დაიბადა... გასაგებია კაპადოკია ძველი ქართული (კოლხური) ცივილიზაციის ნაწილი იყო...

— ხალხმა უნდა გაიგოს სიმართლე, რაც დაავიწყეს და თავს მოახვიეს, უნდა გაიხსენონ... შაბათი მეშვიდე დღეა ბიბლიურად, ხომ? კვირის პირველი დღე არის ქართველთა ღმერთის შვილის დღე, დღესასწაული, რომელიც მითვისებული აქვთ ქრისტიანებს. რომ გამოვაცალკევოთ და აღვნიშნოთ, რომ ეს ქართული ღმერთის დღეა და არა ქრისტიანული, უკვე შედეგია. მაგალითად, სვეტიცხოველი შიგნიდან კვირაცხოველია, კვირაცხოვლობა ქართული დღესასწაულია, რომელიც ქრისტიანებმა მითვისეს. ბარბარობაც ქართულია, ბარბარე მზის სალოცავია, რომელიც შემდეგ ქრისტიანებმა მითვისეს (ცნობისათვის, მეფის რუსეთი უფრო გვიწყობდა ამაში ხელს და 40-იან წლებამდე კომუნისტები)

— მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ ძელიცხოველი უკვე უცხოურია? სვეტიცხოველი ხომ ძელიცხოველზე დაიდგა.

— უცხოურის ხიბლია. სვეტიცხოველს გარეთა კედლები რომ მოვხსნათ, საწყისი არის ქართული სალოცავი. ბავშვობაში, სვეტიცხოველში რომ დავდიოდი, სამი ახალგაზრდა გოგონა იყო გიდი და იმ მყარი ათეიზმის დროს ისინიც ყვებოდნენ, რომ სვეტიცხოვლის შიგნითა კედელი იყო ქართული სალოცავის კედელი.

ანჩის ხატი, როგორც შენობა-ნაგებობა, არის ბუდა რომელიც 1989 წელს გამოიტანეს როგორც იესო და არის ბუდა. ახლა ხელოვნების მუზეუმში ინახება ორი ბუდა, ერთი არის ნამდვილი ბუდა რასაც ჰქვია...

ქურთებს რომ გადაეცათ ნარიყალას ქვემოთ არსებული ტერიტორია ე.წ ათეშგათი. ათეშგათი შებოლილია 1985 წელს...

— რას ჰქვია შებოლილი...

— მაგ ადგილზე იყო მცირე ზომის ხის საწყობი სადაც ინახებოდა საბურავები და ის დაიწვა. შეისწავლონ ჭვარტლი და ხომ გაირკვევა რა შემადგენლობისაც არის — რომელი „მუდმივი ცეცხლის ტაძარი“ რა ტყუილები და სიბრიყვეა, როგორ უნდა ბედავდეს ვინმე ასე თვალში ნაცრის შეყრას?

მე ისეთი პროფესია მაქვს ადვილად ვერავინ დამიდგება წინ, მითუმეტეს, რომ რაზეც ვსაუბრობ საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და გადამოწშებული. მე რომც არაფერი ვთქვა, თვითონ ღაღადებენ ქვები!... „მუდმივი ცეცხლის ტაძარი“ კი არა, იქ არსებული ქართული სალოცავი მიართვეს ქურთებს! რომელი პოლიტიკის ნაწილია საკუთარი ისტორიის გაყალბება, არ მესმის და ვერც გავიგებ!

კაცხის სვეტი! — სვეტს ქვემოთ შემორჩენილი აქვს მზის სიმბოლო, მაგრამ რვა წელი გავიდა და გადაკეთდა ქრისტიანულად, რატომ?! რა ვქნა, საიდან ვიყვირო რომ გაიგოთ — ქრისტიანობა არის ახალი ბერძნული რელიგია რომელსაც შიგნით გაერთიანებული აქვს კიდევ რამდენიმე რელიგიური მიმდინარეობა. ბერძნული, ებრაული — თვით იმ ებრაულში განშტოებებია. მაგალითად, იონობა. იქ წერია, რომ იესო მივიდა იოანესთან და გახდა, „ჩვენებურად“ რომ ვთქვათ „იოანისტი“. ეს უკვე სულ სხვა რელიგიური მიმდინარეობაა, ხომ?

უბედურებაა, აბა, რა არის, როცა შენს სულიერებასთან ერთად სრულიად უცხო რამ ითვისებს შენივე მზა შენობა-ნაგებობებსაც და იქიდან გიქადაგებს უცხოურს!... ასე მითვისა ყველა უცხოურმა ქართველი ადამიანის სულიერება და მატერიალური სიმდიდრე და მინდა ხმა მივაწვდინო ვინმეს, ვთქვათ, „იუნესკოს“, „მსოფლიო ძეგლთა დაცვის ორგანიზაციას“, მე — ერთი კაცი თუ ვერაფერს გავაწყობ, ფაქტი დაფიქსირდეს რომ ტყუილზეა აგებული ეს ყველაფერი და დღესვე თუ არა, ხვალ მაინც უნდა დაუბრუნდეს კანონიერ შემოქმედს — დაგვიბრუნდეს ის, რაც ჩვენია!

„ალაზანი“ მუსლიმანური სახელია, ქართულად ერქვა „ღვთის წყალი“, სალოცავი მდინარე იყო...

— მაშასადამე, თქვენ ამბობთ რომ ქართულ რელიგიას ერქვა „გიორგიანობა“ და ვიყავით (გვერქვა) „გიორგიანელები“?

— გეოგრაფიული მეზობლები „გრუზიას“ რომ გვიწოდებენ, „გურჯისტანს“ — ეს ნიშნავს არა ქრისტიანობას, არამედ „გიორგიანელობას“, ქართულ რელიგიას. ქართული მიწა-წყალი შემოსაზღვრულია ძველ არა მხოლოდ ქართულ რუკებში, ევროპულშიც და აზიურშიც და არის „გიორგიათი“ შემოსაზღვრული.

ფაქტია, რომ საუკუნეების მანძილზე ხდებოდა მსოფლიო ისტორიის გაყალბება, უპირველესად ქართულს ვწუხვარ, ჩვენს თანამედროვეობაში კი ასე გამიზნულად ხდება რელიგიებისა და ისტორიული ფაქტების აღრევა, ვიღაცამ ხომ უნდა თქვას?

სულ რვა საუკუნეა, რაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო, თქვენ კი გგონიათ, IV საუკუნეში მივიღეთ...

— მე-9 საუკუნეში მიიღეს რუსებმა ქრისტიანობა და მანამდე რა ჰქონოდათ, როცა მე-5 საუკუნეში ტომობრივი გაერთიანება ჰქონდათ...

— არ მიუღია მთლიანად რუსეთს (ან სად იყო), ეს ჩვენ მივიღეთ რვა საუკუნეა...

— რას ამბობთ? თქვენ მეუბნებით რომ XII–XIII საუკუნეებში მივიღეთ? ჩვენ მართლმადიდებლობის მიღების საწყისად ნანა დედოფლისა და მირიან მეფის გაქრისტიანება გვაქვს...

— არა! არა! ამ მოგონილ ზღაპრებს ნუ იჯერებთ! ეს იყო უცხოურის ხიბლი!

ჯვარი არის მსოფლიო ნიშანი, რომელიც აქვს ავსტრალიასაც, ინდონეზიასაც, ტიბეტსაც, ევროპასაც და რომელი ერთი ჩამოვთვალო, ინდიელებსაც კი. ჯვარი სამყაროს ოთხი მხარეა და გვქონდა ჩვენც, ბერძნებსაც, აისორებსაც და ა. შ ჯვარი არ არის არც ქართული და არც არავის ნიშანი, სამყაროს ოთხი მხარეა და მორჩა, ქართული ნიშანი არის ბორჯღალი!“

გადაკეთებულია ყველაფრის ისტორია და ასაკი! მაგალითად, თბილისის მეჩეთი და ე.წ არმიანული ეკლესია, სულ 170–180 წლისაა. აგურები შეამოწმონ! არმიანული ეკლესია აშენებულია ქართული აგურით, მეჩეთი — რუსული დაბეჭდილი აგურით, თარიღიც ზედ არტყია, მანამდე ეგ უცხოური სალოცავები იქ არ იყო, ეს არის ფაქტი და რატომ გავურბივართ? ათეშგათი იყო, მაგრამ ქურთული კი არა, ქართული სალოცავი იყო...

— ამეებს საიდან ამბობთ, პროფესიიიდან გამომდინარე?

— რესტავრაციებზე მუშაობა არც არის საჭირო, თვალნათლივ ეტყობა ყველა შენობას როგორ გადაკეთდა. მაგალითად, ანჩისხატს აბსოლუტურად ყველა გადაკეთება ეტყობა შეუიარაღებელი თვალისა და ცოდნის გარეშეც. მეტეხი მხოლოდ სამი საუკუნეა რაც ქრისტიანულად გადაკეთდა და ეტყობა გადაკეთება — მანამდე იყო ქართული რელიგიის შენობა, სახელიც იგივე შერჩა, ვერც შეუცვალეს.

— ქვაშვეთი? იმ ადგილას არაფერი იყო, ანუ არ არის ახლით შეფუთული?

— ქვაშვეთი მხოლოდ 100 წლისაა, მაგრამ ქვაშვეთი იმიტომ აშენდა, რომ „მასონი“ ითარგმნება „ქვაშვეთად“. ქვის შვეთაც შეიძლება, თლაც, ფლეთვაც, ხვეწაც, ტეხვაც. „მასონი“ თვითონ რელიგიების ნაკრებია და ამ ნაკრებით გაკეთდა ერთი ახალი მიმდინარეობა.

უცხოელებს ესმით რასაც ვსაუბრობ, მაგრამ რატომღაც ქართველებს არ ესმით. ახლახანს დავესწარი უცხოური რელიგიების შეკრებას. თურქეთიდან იყო სუფისტების შეიხი, სუნიტების შეიხი, შიიტების შეიხი, დერვიშების შეიხი და ნაკაიძის თბილისელი წარმომადგენელი, ხოლო შეხვედრა იყო ბაპტისტების ეკლესიაში, მათ მოაწყვეს შეხვედრა და სცეს პატივი. მოკლედ რომ ვთქვათ, უცხოური რელიგიების შეკრება იყო საქართველოში. მე კი დავესწარი, მაგრამ არ დამალაპარაკეს, მხოლოდ ნაკაიძის წარმომადგენელმა უთარგმნა დერვიშების შეიხს რასაც ვამბობდი და დიდი ყურადღებით მისმენდა რომ წარმოვუდგინე თავი „ქართული რელიგიის წარმომადგენლად, მაგრამ ვიღამ დამალაპარაკა, გამარიდეს იმ კაცს ბაპტისტებმა...

ბაპტისტების გადასაწყვეტია საქართველოში მე, ქართველი, ვის დაველაპარაკები და ვის არა? ეს იმდენად დამამცირებელია ქართული მიწისა და რელიგიისთვის, რა გითხრათ...

გიორგი ჩხეიძე

ძლიერი რეგიონები


თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ნამტვრიანში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. დასახლებას წყალმომარაგების სისტემის არარსებობის გამო სასმელი წყალი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდებოდა. გეგმური სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 1,5 კმ სიგრძის ქსელი, შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს გაუმჯობესებული წყალმომარაგებით.

წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, გეგმური სამუშაოები მიმდინარეობს სოფლებში: დურნუკში, საღრაშენში, ხაიშსა და გუდარეხში.

● დაბა მანგლისში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა სახელობის პარკი და მემორიალი გაიხსნა. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით გაიმართა საზეიმო ღონისძიებები.

მემორიალის გახსნას ესწრებოდნენ: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები, ვეტერანები, სასულიერო პირები, მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა.

● მერიამ 25 კუბური მეტრი საშეშე მერქანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს გადასცა.

● „განავითარე შენი რეგიონის“ ფარგლებში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ღონისძიებაზე წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ეთერ დავითაშვილსა და საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდა. ისაუბრეს სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილ სასკოლო ღონისძიებებზე ახალგაზრდების უსაფრთხოების დაცვის შესახებ.

● ნიკოლოზ ჯანიაშვილი საჯარო რეესტრის წარმომადგენლებს შეხვდა. შეაჯამეს მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები და იმსჯელეს გამოვლენილ ხარვეზებზე, რომლებიც შესაბამის უწყებებთან ერთობლივი მუშაობით აღმოიფხვრება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საპილოტო პროექტს წინასწარ შერჩეულ 12 გეოგრაფიულ არეალში, მათ შორის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში, არხილოსკალოსა და არბოშიკში ახორციელებს. პროექტის ფარგლებში, საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მოქალაქეთა ნაცვლად, უფასოდ შეასრულა. პროექტის განხორციელება 2017 წლის 4 დეკემბერს დაიწყო და მაისის ბოლოს დასრულდება.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● საქველმოქმედო აქცია „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“ გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მაღაზიათა ქსელ „ჭიტას“ ორგანიზებით მოეწყო. გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოციალურად დაუცველ ბავშვებს საჩუქრები გადასცა.

● მუნიციპალიტეტის სოფლებში, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, ტერიტორიების სპეციალიზებული ტექნიკით შეწამვლა და თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავება აქტიურად მიმდინარეობს.

● მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დამატებით 150 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი მიიღო, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტისა და ბახმაროს საკურორტო ზონის ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების მართვის პროცესს.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი გურჯაანში, სოციალური საწარმოს „პურთა პურის“ გახსნას დაესწრო. საცხობი უსაფუვრო, სვიაზე დამზადებულ ეკოლოგიურად სუფთა პურს გამოაცხობს, რომელიც თავდაპირველად, მხოლოდ გურჯაანის მასშტაბით გაიყიდება. საწარმოში მარტოხელა მშობლები დასაქმდებიან.

„მსგავსი სოციალური საწარმოების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ ბევრი მომხმარებელი ეყოლება აქ წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს“, — ამბობს მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი.

„პურთა პურის“ მხარდამჭერები არიან ადგილობრივი ორგანიზაციები და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩო.

● გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის დავით სონღულაშვილის ინიციატივითა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, „სამედიცინო კორპორაცია „ევექსის ექიმებმა კაჭრეთის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს. პაციენტებს მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს უწევდნენ სხვადასხვა პროფილის ექიმი-სპეციალისტები, ასევე ჩაუტარდათ ექოსკოპიური კვლევები და ელექტროკარდიოგრაფია.

დუშეთი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს. მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები, ჯანდაცვის, გაზიფიცირებისა და დასუფთავების საკითხები — ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაზეც მუნიციპალიტეტის მერი ნინიგორის თემის სოფ. განათლებისა და გელათის მოსახლეობას ესაუბრა. შეხვედრას ასამდე მოქალაქე დაესწრო. ძირითად პრობლემად გაზიფიცირება დასახელდა. როგორც მერმა განაცხადა, აღნიშნული სოფლების მოსახლეობა ბუნებრივი აირით ივნისის ბოლოდან ისარგებლებს. შეხვედრაზე მოქალაქეების მხრიდან დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა.

● მუნიციპალიტეტის მერმა მოქალაქეთა მორიგი მიღება გამართა. ჯონდო მდივნიშვილი მერიის შენობაში მისულ ყველა მოქალაქეს შეხვდა, მოისმინა მათი პირადი პრობლემები, რომელთა ძირითადი ნაწილი ეხებოდა ჯანდაცვის, სოციალურიდა დასაქმების საკითხებს. მოქალაქეების მიერ დასმული საკითხების გადაჭრა შესაბამის სამსახურებს დაევალათ მათი კომპეტენციის ფარგლებში.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● ქ. დუშეთის შესასვლელთან მდებარე სკვერში, მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით, მოეწყო საბავშვო საცურაო აუზი და გასართობი ატრაქციონები.

● დუშეთს ეწვია ავსტრიის განვითარების ფონდის რეგიონალური მენეჯერი ნიკოლ მარია ბაური პროექტის „ოჯახების გაძლიერება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში“ ფარგლებში. ბაური შეხვდა მუნიციპალიტეტის მერს ზურაბ სეხნიაშვილს. მათ ერთად შეაჯამეს პროექტის შედეგები და დაგეგმეს ერთობლივი სამომავლო პროექტები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მოსაშვილის ქუჩაზე ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე მოეწყობა, რომლის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა. პროექტი ითვალისწინებს არსებული რკინაბეტონის სანიაღვრე არხების დემონტაჟს და დახურული სანიაღვრე სისტემის მოწყობას პლასტმას-გოფრირებული მილებით.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 138 598 ლარია.

● მუნიციპალიტეტის მერი ლა-

დედოფლისწყარო

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

შა გოგია, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია და მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ნინო სხულუხია ჩეხეთის საელჩოს მესამე მდივანს საქართველოში იან ჩერნიკს, ჩეხეთის რესპუბლიკის „კარიტასის“ საქართველოს მისიის ხელმძღვანელ ეკატერინე მესხრიკაძეს და კიბოს პრევენციის ცენტრის დირექტორ იოსებ აბესაძეს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ზუგდიდში მშენებარე კიბოს სკრინინგცენტრს, რომლის მშენებლობა აგვისტოში დასრულდება. ცენტრი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიაში ღია სივრცე „ქალთა ოთახი“ ოფისისთვის საჭირო ტექნიკით, ინვენტარით დაკომპლექტდა და ფუნქციონირებას ოფიციალურად შეუდგა. „ქალთა ოთახის“ მეშვეობით ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობას სთავაზობს საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას, თავისუფალ, ღია სივრცეს დასვენებისა და სოციალური აქტივობისთვის.

ვიზიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ: კომპიუტერით და ინტერნეტით; საკონსულტაციო სერვისით; საბავშვო კუთხით; სივრცით, სხვადასხვა შეხვედრის გასამართად; ბიბლიოთეკით; საგანმანათლებლო სერვისით.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარესთან ირაკლი კაკულიასთან ერთად, კომპანია „**Tahal Group BV**“ ოფისს ეწვია. იგი კონტრაქტორი და ზედამხედველი ფირმების წარმომადგენლებს შეხვდა.

კომპანიის წარმომადგენლების თქმით, 1 ივნისიდან დაიწყება საველე სამუშაოები, პრიორიტეტად შერჩეულია წინა კონტრაქტორის მიერ უკვე გადათხრილი ქუჩები. სამუშაოები მალთაყვისა და ნაბადის უბნებში ერთდროულად რამდენიმე ადგილას დაიწყება. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, პირველივე ეტაპზე წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყება.

პროექტის ღირებულება 89 943 800 ლარია. იგი აზიის განვითარების ბანკიდან დაფინანსდება.

● ქალაქის მერის, გოჩა კურდღელიას თქმით, ფოთის მაჟორიტარის ირაკლი ხახუბიას ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ქალაქში დამატებით გამწმენდი ნაგებობი აიგება. პროექტს, რომლის ღირებულება 44 684 016 ლარია, აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს — ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ინჩხურისა და გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა, მათს პრობლემებს გაეცნო და ისაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

შეხვედრაზე მოსახლეობამ პრიორიტეტად წყალმომარაგება, შიდა გზების რეაბილიტაცია და გაზიფიცირება დააზელა.

● ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა რკინაბეტონის ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოეწყო ხიდის საძირკველი და ბურჯი მონოლითური რკინაბეტონით, ასევე ლითონის მოაჯირები და დამბა, ლითონის კონსტრუქციები შეიღება ზეთოვანი საღებავით.

შესრულებულ სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულებამ 10 919 ლარი შეადგინა. სამუშაოები ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დააფინანსა.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში აქტიურ ფაზაშია შესული აზიური ფარასანას საწინააღმდეგო შეწამლვითი სამუშაოები. თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა და ახალგაზრდებმა ფერომონები განათავსეს. მათი საშუალებით ხდება მავნებლის მოზიდვა და ლიკვიდაცია წერტილოვანი დარტყმებით.

ფერომონები განთავსებულია ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. ამჟამად, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს იმ ფართობების ქიმიური დამუშავება, სადაც დამჭერებზე მავნებლის ზღვრული ოდენობა დაფიქსირდა. შეიწამლა აგრეთვე ხორშისა და ეკის ადმინისტრაციული ერთეულების ფართობი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● დაბა ჩხოროწყუში, მდინარე ოჩხომურზე, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, ამორტიზებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა, მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს თეიმურაზ მალანიასთან ერთად დაათვალიერეს.

ხიდის რეაბილიტაცია 49 000 ლარით ფინანსდება.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სარალში ახლად რეაბილიტირებული სკოლა გაიხსნა. საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები, იაპონიის ელჩი საქართველოში ტადაჰარუ უეჰარა, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები.

სკოლის გახსნის შემდეგ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა იაპონიის ელჩთან ერთად დაათვალიერეს სკოლის შენობა და პროექტის ამსახველი ფოტოგამოფენა.

წალკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდნენ: რეი უოლში, აქტივების (ქონების) მართვის ექსპერტი, გიორგი სილაგაძე, IT ექსპერტი, რატი გაბრიჩიძე, კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის ექსპერტი.

● მუნციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სტრატეგიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის როლზე.

პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოს მუნიციპალურ ფონდს დაეხმარება, რათა გაიზარდოს საქართველოს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები პროექტის ციკლის მართვაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული დმანისში

კვირეულის ფარგლებში ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში, კლასიკური მუსიკის თანხლებით, გაიმართა ხატვისა და ხალხური რეწვის სტუდიების ბავშვთა ნამუშევრების, აგრეთვე ეთნოგრაფიული მასალის, თემატური წიგნებისა და ფოტოების გამოფენები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც ძველი, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფერწერული, ხეზე ნაკვეთი და თექაზე შესრულებული ნამუშევრები.

თეატრალური სტუდია „ბერიკებმა“ მაყურებელს შესთავაზეს ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემი ხატია სამშობლო“.

საკუთარი რეპერტუარი წარმოადგინეს ადგილობრივმა თეატრალურმა სტუდიებმა. დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის არქეოლოგიური განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა, პროფესორმა ჯუმბერ კოპალიანმა დაინტერესებულ პირთათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე“. გამოფენის დათვალიერება 22 მაისის ჩათვლით იყო შესაძლებელი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა და პროფესორმა ჯუმბერ კოპალიანმა საზეიმოდ გაჭრეს ტორტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებული ატრიბუტებით იყო გაფორმებული.

საღამო პატრიოტული ლექსებითა და სიმღერებით დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე კოცონთან დასრულდა.

* * *

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერით კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება „ღამე მუზეუმში“. დამთვალიერებლებს მუზეუმმა სრულიად უფასოდ უმასპინძლა. ვიზიტორები დღეს თავად გახდნენ ამ კულტურული ღონისძიების მონაწილეები. მათ მუზეუმის შთაბეჭდილებების წიგნში სამახსოვრო ჩანაწერები დატოვეს.

* * *

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოიეში მოეწყო მრავალფეროვანი გამოფენები. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბავშვთა ნამუშევრებთან ერთად ააიპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის“ ძალისხმევით გამოიფინა საქართველოს ისტორიის ამსახველი როგორც საარქივო მასალა, ისე წიგნები.

დმანისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს კლასიკური ნაწარმოებები, პატრიოტული სიმღერები.

ღონისძიებას ესწრებოდა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი სუბარი.

გიორგი ჭელიძე:

დიახ, ჩვენ ქართველი ფაშისტები ვართ!

სამოქალაქო ომის დამაანონსებლებს ხელისუფლებამ უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ თუ მას ეს გაუჭირდა, თვითონ დავიცავთ სახელმწიფოს, რისი კანონიერი უფლებაც გვაქვს

„ფაშიზმი შეგნებულად აქციეს საფრთხობელად, თორემ სინამდვილეში ეს არის შენი ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული წეს-ჩვეულებების, ტრადიციების ყოვლისმომცველობა“ აცხადებს მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ ლიდერი **გიორგი ჭელიძე**.

ვიკიპედია: ტერმინი ფაშიზმი მოდის სიტყვა ფასიოდან, ესაა ძველ რომში მაგისტრების ძალაუფლების სიმბოლო — წნელის შეკვრა შუაში ნაჯახით. პრინციპი შემდეგშია, ერთი წკნელი ადვილად ტყდება შეკვრა კი ძნელად. აქედან მოდის ერთ-ერთი ფაშისტური ლოზუნგი, ძალა ერთობაშია. რეალურად ფაშიზმი ზენაციონალური (გნებავთ ტრანსნაციონალური) ნაციონალიზმია, რომელიც ე.წ. ლიბერალურ-დემოკრატიული გლობალიზაციის საპირწონე მიმდინარეობას წარმოადგენს.

გიორგი ჭელიძე: გარკვეული ძალები ჩვენს ორგანიზაციას ხელისუფლების მიერ მართულად მიიჩნევენ, ამ ეტაპზე ჩვენი ქმედებები, შეიძლება რაღაცნაირად ემთხვეოდეს ვიღაცის ინტერესებს, შეიძლება ეს „ქართული ოცნებაც“ იყოს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან როცა სამოქალაქო ველზე აქტიურობ, ვიღაცის ინტერესებთან თანხვედრა აუცილებლად გექნება.

ჩვენს ემბლემაზე სამფეროვანი დროშაა, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918–21 წწ) დროშა, მეორე მსოფლიო ომის დროს, ამ დროშის ქვეშ იბრძოდა ქართული ლეგიონი, რომელიც არა საქართველოს, არამედ ბოლშევიკებს ებრძოდა, რომლებმაც 1921 წელს ჩვენი სამშობლოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინეს. ნებისმიერ პოლიტიკოსს რომ კითხო, 70 წელი საბჭოთა ოკუპაციის პირობებში ვცხოვრობდით, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს აღვნიშნავთ, მაგრამ მათ პრეტენზია არ უჩნდებათ გაერო საქართველოს სსრ-ის სამართალმემკვიდრედ რომ გვაღიარებს. ამიტომაც ვამბობ, რომ 1992 წლის შემდეგ, ანტიეროვნული ძალები გვმართავენ. საერთოდ, მსოფლიოში სამი იდეოლოგიაა, ლიბერალიზმი, მარქსიზმი თავისი ორი განაყოფით — სოციალიზმი და კომუნიზმი, ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი. ეს სამი იდეოლოგია ერთმანეთს ებრძვის, ლიბერალიზმიც და მარქსიზმიც ანტიეროვნული იდეოლოგიაა, მულტიკულტურული და კოსმოპოლიტური, ისინი პირდაპირი მტრები არიან, როგორც ერების, ისე რასების. ფაშიზმი არის ეროვნული იდეის სრულყოფა, რომელიც ყველა ერს თავისი აქვს, შეუძლებელია გერმანელებს იტალიური ფაშიზმი ჰქონდეთ, ან იტალიელებს ბრიტანული. ფაშიზმი ერთობას ნიშნავს, რაც ქართული ფენომენია, სკოლაშიც გვასწავლიდნენ, რომ ერთი ისარი ადვილად იმტვრევა, ბევრს კი ვერ გადატეხავ. ხელოვნურად ხდება ფაშიზმის დისკრედიტაცია, ფაშისტი თუ ხარ, ე.ი. სისხლისმსმელი ხარ. ფაშიზმი ყოველთვის იყო და დღესაც არის ევროპის რიგ ქვეყნებში. ქართველებსაც აქვთ თავისი ფაშიზმი, რომელიც პირველი სახელმწიფოებრიობიდან მომდინარეობს.

სამხედრო პუტჩის შემდეგ, ხელისუფლებაში მუდმივად არიან მტრული იდეოლოგიის წარმომადგენლები, ძველი კომუნისტები ან მათი შვილები, რომლებსაც დარწმუნებული ვარ წითელი პასპორტები შენახული აქვთ, რა იცი რა დრო მოდისო და ლიბერალური ძალები.

მეორე მხარეს არიან „კმარელები“, ნაცები თავიანთი განაყრებით. მათთვის ნაციონალური მოძრაობის დაძახება შეუძლებელია, რადგან ნაციონალურობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, ჩვენი ორგანიზაციის წევრები მათ ერთიანი ნაციების პარტიას ვეძახით. სააკაშვილის პარტია არის ევროპის სახალხო პარტიის წევრი, ყველაზე დიდი ულტრალიბერალების გაერთიანება საქართველოში. ასე რომ, საქართველოში ანტიეროვნული ძალები არიან გაბატონებული, რაც პირდაპირ შეეტყო ქვეყანას. როდესაც სახელმწიფო დასუსტდა, ერმა კვდომა დაიწყო, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ კი არ იგონებს, გაეროს ოფიციალური მონაცემებია, რომ 2050 წლისთვის საქართველოში ფიზიკურად განახევრდება ქართველთა რაოდენობა, საქართველო მომაკვდავი ერების ხუთეულშია. ეს ყველაფერი სტკივა ქართველ ახალგაზრდობას, გვაქვს ჩვენი პროტესტი, ამიტომ შევქმენით ჩვენი ორგანიზაცია, **ფაშიზმი მარტო პოლიტიკური იდეოლოგია არ არის, ეს ერთობის იდეოლოგიაა**, აზრისა და მოქმედების ერთობლიობა. აზრი, იდეა არის ხალხი, ხოლო მოქმედება სახელმწიფო. კანონთან ყველანაირად თანხმობაში ვართ, უკანონობას არაფერს ვაკეთებთ.

ჩვენ ბრალს გვდებენ, რომ თითქოს ძალადობრივი მუქარები გავაჟღერეთ, აღნიშნულთან დაკავშირებით, პოლიციაში სს-ის საქმეც აღიძრა, ეს არის სრული აბსურდი.

მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამ საკითხზე.

ყველამ მოვისმინეთ რა პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდნენ პარლამენტის წინ შეკრებილი ნარკომანიის და ნარკოვაჭრობის პროპაგანდისტები და დაკანონების მსურველნი, პოლიციას და მთელ ქართველ ერს ემახდნენ ბნელებს და უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდნენ, იმუქრებოდნენ დაპირისპირებით, მოლოტოვის კოქტეილებით, უფრო მეტიც, რევოლუციითა და სამოქალაქო ომით. ამიტომ გაჩნდა საზოგადოებაში დიდი პროტესტი, მათ შორის იმ ახალგაზრდებში, ვინც აქტიურად ვართ ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი განცხადებები აუცილებელი თავდაცვის რეჟიმის გამომდინარე იყო, რომ არავის დავაშვებინებდით 1991 წელს და შემდგომ განვითარებულ პროცესებს. სამოქალაქო ომის დამაანონსებლებს ხელისუფლებამ უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ თუ მას ეს გაუჭირდა, თვითონ დავიცავთ სახელმწიფოს, რისი კანონიერი უფლებაც გვაქვს. ხუნტა პირველად საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანებს გაუსწორდება და ჩვენ არ გვაქვს უფლება თავი დავიცვათ? კონსტიტუცია და კანონი გვაძლევს იმის უფლებას, რომ აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი თავი დავიცვათ და გადაუდებლობის შემთხვევაში, სხვისი სიცოცხლის დასაცავადაც გამოვიდეთ. დაკითხვისას სამართალდამცავებსაც ვუთხარი ეს. საზოგადოების მხრიდან ამხელა წინააღმდეგობას არავინ ელოდა, მათ უნდოდათ ყველაფერი ისე ეჩვენებინათ, რომ თითქოს უმრავლესობაში იყო ის ადამიანები, ვინც პარლამენტის წინ „თავისუფლებას“ ითხოვდა. მათ პირველ აქციაზე მართლაც გამოვიდა ბევრი ხალხი, მაგრამ მერე იკლო. ეს „თეთრი ხმაური“ და ბაია პატარაიას „საფარი“ პირდაპირ სოროსისგან ფინანსდება. სოროსი საერთოდ შემჩნეულია არეულობების მოწყობაში, მემარცხენე იდეოლოგიის მქონე, ანარქისტული, ფემინისტური, მარქსისტულ მოკომუნისტო იდეების მქონე ადამიანების მხარდაჭერასა და დაფინანსებაში, ერთი სიტყვით, ქვეყნებში დესტაბილიზაციას ახდენს. იმდენად მოულოდნელი იყო „პროტესტანტებისთვის“ საპირისპირო აზრის გამოთქმა, რომ შოკში ჩავარდნენ. მუხტის გაღვივებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა „საქართველოს ეროვნულმა ერთობამ“, ერთ-ერთი პირველები გამოვედით, მრავალი ქუჩა მოვიარეთ და ხალხს მოვუწოდეთ თავიანთი პროტესტი დაეფიქსირებინათ. ლიბერასტებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჩვენს ქმედებაში ვერაფერი უკანონობა რომ ვერ აღმოაჩინეს, დისკრედიტაციის მიზნით აბსურდული განცხადებების და ინფორმაციების გავრცელება დაიწყეს. „ფლაგმანად“ ელისო კილაძე მოგვევლინა, რომელსაც ჟურნალისტობაზე აქვს პრეტენზია, მეტს არაფერს ვიტყვი, მაინც ქალბატონია, თქვენმა მკითხველმა განსაჯოს მისი საქციელი. შეიძლება მხარე იყო, მაგრამ დემაგოგიას და შუბლის ძარღვის გაწყვეტასაც ხომ აქვს საზღვარი?! კილაძემ გაავრცელა ჩემი შარშანდელი ფოტო, რომ თითქოს თავსვარიდებდი პოლიციასთან თანამშრომლობას და თავი მოვიავადმყოფე, რაც არის სრული სიცრუე. ეს ფოტო მაშინდელია, როცა ფეხბურთის ფედერაციასთან ეროვნული ნაკრების კაპიტნის, გურამ შარიას მიერ ლგბტ-სიმბოლიკიანი სამკლაურის გაკეთება გავაპროტესტეთ.

17 მაისს ჩვენი 11 წარმომადგენელი, თითქმის ყველა ლიდერი დააკავეს და ფაქტობრივად ორგანიზაციის პარალიზება მოახდინეს. დასაკითხად ჩემი ფეხით მივედი პოლიციაში, ამჯერად საქმეში ჩემი ადვოკატი გაიოზ ჩარკვიანიც ჩაერთო, მზად ვარ სათანამშრომლოდ, ნებისმიერ კითხვას გავცემ პასუხს. თუ ვინმეს ჩემი იდეოლოგია არ მოწონს, ეს ჩემი პრობლემა არ არის. ეროვნული მუხტის პოლიტიკური ხერხით ჩახშობა ბოლშევიკური, „წითელი ჭირის“ მეთოდია, რომელმაც გაწყვიტა ჩვენი ინტელიგენცია. თუ ახლაც იგივე ხდება, ეს ყველაფერი უნდა ვიცოდეთ, ჩემთვის და ჩემი ორგანიზაციის წევრებისთვის დიდი პატივია, თუ განსხვავებული აზრის დევნის გაპროტესტებისთვის დაგვსჯიან.

ერთმა ჭკვიანმა ავსტრიელმა მხატვარმა თქვა, გიყვარს ის, რაც იცი და იცი ის, რაც გასწავლეს. ქართველ ერს არ აქვს სწორი ინფორმაცია და როცა გამოჩნდა ძალა, რომელიც სიმართლეს ამბობს, ანტიეროვნული ძალების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში სრული

სიგიჟე სუფევს, თუმცა მრავლადაა იქ დადებითი კომენტარებიც არის, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად გვიტევენ ე.წ. ქართული ტელევიზიები, რომლებიც ასევე სოროსისგან ფინანსდებიან. ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული არიან პრორუსული ძალებიც, მათ არ მოეწონათ 9 მაისს იმ კანონის დაცვას ვითხოვდით, რომლის თანახმადაც საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკის გამოტანა არ უნდა მომხდარიყო. მოკლედ, ყველა მხრიდან არის შტურმი. ძალიან მინდა დაწეროთ, რომ 17 მაისს „მაესტრომ“ ამაზრზენი ფაქტი დაგვაბრალა, თითქოს რამდენიმე წლის წინ, ქართველმა ნაციონალისტებმა, ანუ ჩვენმა მსგავსმა ორგანიზაციებმა, აღმაშენებლის გამზირზე ვიღაცები დაარბიეს, ვერცხლის ქუჩაზე მდებარე რაღაცა ბარიც ახსენეს. მე არ ვიცი ვინ რა დაარბია, ამ ყველაფერს „საქართველოს ეროვნულ ერთობასთან“ არანაირი კავშირი არ აქვს, მაშინ ჩვენი ორგანიზაცია საერთოდ არ არსებობდა და რატომ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა იმაზე, რასთანაც ოდნავი ირიბი კავშირიც არ გვაქვს?!

ჩვენი ორგანიზაციის წევრია აგვისტოს ომის რამდენიმე ვეტერანი, აფხაზეთის ომის მონაწილე მრავალი მხარდამჭერი გვყავს, რომლებიც ჩვენს აქციებზე დადიან. რომელ დაფინანსებაზეა საუბარი, როცა არათუ ოფისი, ხმამაღლა მოლაპარაკის შესაძენი ფულიც კი არ გვაქვს.

ნაპოლეონს აქვს ნათქვამი. ჯარით დაცული სახელმწიფო კი არ არის დაუმარცხებელი, არამედ ერით დაცულიო. თუკი ახალგაზრდობა ნარკოტიკულ თრობას მიეცა, ხომ ვიცით, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანისთვის მთავარი ნარკოტიკის მოპოვებაა, რომელშიც ყველაფერს გაცვლის, თუკი სექსუალური უმცირესობების რიცხვმა მოიმატა ქვეყანაში, საიდანღა გვეყოლება ქართველ მეომრები და ამორძალები, ვინც მომავალში უნდა დაიცვას საქართველო?

ჩვენ თუ საკმარისი ძალა არ გამოვიჩინეთ, ეროვნული ცნობიერებით და შეგნებით თუ არ განვიმსჭვალეთ, ფაქტია, ჩვენი სამშობლო გადაშენებისკენ მიდის. თუ იდეაა საკამათო, დაგვითმონ პირდაპირი ეთერი, დაგვიჯდნენ კომუნისტების თუ ლიბერალების წარმომადგენლები და გვეკამათონ, თავიანთი არგუმენტებით მოახდინონ თავიანთი იდეოლოგიის პროპაგანდირება, ჩვენ ჩვენს პოზიციას დავიცავთ, მაგრამ ეს არ აწყობთ, რადგან სიმართლე ჩვენშია. ყველაფერ ეროვნულის გამოვლინებას რომ რუსულ პროპაგანდად და რუსეთიდან დაფინანსებულად რომ ნათლავენ ეს ბატონები და ქალბატონები, სწორედ თვითონ ასხამენ ნებსით თუ უნებლიედ რუსეთის წისქვილზე წყალს და ოკუპანტს რეკლამირებას უწევენ. ერთს ვიკითხავ, აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა, ამერიკა კი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, პირდაპირ დააყენა საკითხი ნარკომოვაჭრეების სიკვდილით დასჯის შესახებ, სექსუალური უმცირესობების გამოხატვის უფლებები შეზღუდა, ტრანსგენდერებს ჯარში სამსახური აუკრძალა, მაშინ ვთქვათ, რომ ისიც პუტინის „კაცია“? ალბათ ამიტომაც თქვა ტრამპმა პრეზიდენტი როცა გახდა, პოლიტიკაში ნამდვილი მამაკაცები დაბრუნდნენო. ის ყოველივე ტრადიციულზეა ორიენტირებული, ოჯახი და ტრადიციებია მათი მთავარი ღირებულება, ეს ტექნიკა და ეკონომიკური პროგრესი უკან დაგვრჩება თუ ჩვენი ტრადიციები განადგურდებაო. ჩვენთან კი არ გაძლევენ უფლებას, რომ ამ თემების შესახებ ისაუბრო, მაგრამ ქართველ ერში არის პროტესტი დაგროვილი, რომელმაც სულ რომ არ ელოდნენ, ისე ამოხეთქა და წალეკა ლიბერასტების აქცია, ავტობუსებში შეჭეჭყილები გააპარეს რუსთაველის გამზირიდან. 17 მაისიც ვერ აღნიშნეს უმცირესობებმა და მათმა დამცველებმა, როგორც თვითონ უნდოდათ, ოფიციალურად თქვეს, რომ ამ დღეს აქციას არ ატარებდნენ. ეს გააკეთა ერთმა პატარა მუხტმა, ერთი დღის აფეთქებამ. თუკი ერი დაირაზმება, მას წინ ვერავინ დაუდგება.

გაიოზ ჩარკვიანი (ადვოკატი): გიორგი ჭელიძე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში დაკითხეს, ყველა კითხვას არგუმენტირებული პასუხი გაეცა, წარვადგინეთ ჩვენი მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, პოლიციელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ არანაირი ანტიკონსტიტუციური ქმედებები არ ჩაგვიდენია. რაც შეეხება სიმბოლიკებს, ემბლემას, ატრიბუტიკას, რომელიც ბოლო პერიოდში ესოდენ ყბადაღებულ თემად იქცა, ისიც დეტალურად გავშიფრეთ. საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე გამოსახული ბორჯღალია „საქართველოს ეროვნული ერთობის“ სამკლაურზეც, არსებობს ბოლნური ჯვარი, რომელიც მრავალსაუკუნეებს ითვლის და უდიდესი საგანძურია ქართული სარწმუნეობის და კულტურის, რა თქმა უნდა ეს ჯვარი საქართველოში აკრძალული არ არის. სამფეროვანი დროშა, რომელიც 1918 საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, მაშინ გვქონდა, 80-იან წლებში, როცა დაიწყო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, სწორედ ეს დროშა იყო ეროვნული სიმბოლო. ის შემდგომშიც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა იყო, რომელიც გატანილი გვქონდა საერთაშორისო ასპარეზზე, როცა ჩვენი სპორტსმენები, დიპლომატები სახელმწიფო მოღვაწეები უცხოეთში ჩადიოდნენ, ზუსტად ეს დროშა ფრიალებდა. 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში რომ მოვიდა, სახელმწიფო დროშა კი შეცვალა (რატომ და როგორ ეს ცალკე თემაა), მაგრამ შინდისფერი დროშა ხომ დარჩა ისტორიად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რელიქვიად?! სად არის იმ ახალგაზრდების ანტიკონსტიტუციური ქმედებები, რომლებსაც ის სიმბოლოები აქვთ, რომლებიც არავის აუკრძალავს. „საქართველოს ეროვნული ერთობა“ დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ამის შესახებ უსაფრთხოების სამსახური საქმის კურსშია. ორგანიზაციას გააჩნია წესდება და ბეჭედი, სიმბოლიკის შესახებაც არსებობს ინფორმაცია. რაიმე დარღვევა რომ ყოფილიყო, იუსტიციის სამინისტრო ორგანიზაციას რეგისტრაციაში არ გაატარებდა და შესაბამისად ბეჭედსაც ვერ დაამზადებდნენ.

„ბასიანში“ სპეცოპერაციის დროს რატომ მოხდა ძალის გადამეტებაო, მაშინ არ იყო ძალის გადამეტება? ან სვანეთში ვერტმფრენებიდან რომ გახსნეს ცეცხლი, შეიძლება მართლაც იყო კრიმინალური დაჯგუფება, მაგრამ ვერტმფრენებიდან რომ ბომბავ, მშვიდობიან მოსახლეობასაც ხომ უქმნი საფრთხეს. 7 ნოემბერს ორჯერ უმოწყალოდ დაარბიეს მომიტინგეები, რის გამოც სააკაშვილს გადადგომა მოუწია, ეს რა იყო? ან 2011 წლის 26 მაისს, სად ეძებდნენ და პოულობდნენ უმოწყალოდ ნაცემ მშვიდობიან მომიტინგეებს, ზოგს თურმე მაღაზიის სახურავზე დენმა დაარტყა და იმიტომ გარდაიცვალა. დღეს ამ ხალხს რატომღაც პრეტენზია უჩნდება, რომ პოლიციამ ძალაუფლებას გადაამეტა. „ბასიანში“ მყოფი ერთ-ერთი ქალბატონი ტელევიზიით ამბობს, რაში მაინტერესებს რაღაც ფარატინა ქაღალდი, სიამოვნებაში ხელი შემიშალესო, თურმე სასამართლოს გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდია. როგორ გგონიათ, როდესაც პოლიციის თანამშრომლებს აქვთ ინფორმაცია, ხელთ აქვთ სასამართლოს შესაბამისი განჩინება, ორი ოპერატიული თანამშრომელი უნდა შევიდეს „კანონის დაცვით“ 100 თუ 200-კაციან გაბრუებელ მასაში, იცით რა, სასამართლოს განჩინება მაქვს და თუ შეიძლება მაცალეთ სპეოპერაციის ჩატარება, ნარკოტიკი რომ ამოვიღო და მისი გამსაღებელი უნდა დავაკავოო? ვიღაც შეიძლება ისე იყოს გაბრუებული, რომ ელემენტარულად არ არის გამორიცხული, რომ პოლიციელისთვის დანა გაეყარა, ანუ დამდგარიყო ისეთი შედეგი, რასაც პოლიციის თანამშრომლები შეეწირებოდნენ. ცივილიზებულ ქვეყანებში ღამის კლუბებში პოლიცია სპეცოპერაციას რომ ატარებს, წინასწარ აფრთხილებენ? თუ დაირღვა ვინმეს უფლებები, აგერ არის შსს-ს გენინსპექცია, სახალხო დამცველი, უამრავი სტრუქტურა და ინსტანცია, დადონ მტკიცებულებები და იდავონ სამართლებრივი გზით. როგორც მე ვიცავ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს სამართლებრივი გზით, მათაც ისე დაიცვან თავიანთი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

აფიორა, თაღლითობა, გულგრილობა თუ ყველაფერი ერთად, რომელმაც უდანაშაულო ადამიანებს ცხოვრება დაუნგრია

თითქმის ერთი წელია, ხატიაშვილების ექვსსულიანი ოჯახი გამოსახლების მოლოდინით ცხოვრობს. ოჯახის უფროსი, 79 წლის ვიქტორ ხატიაშვილი პირველი ჯგუფის ინვალიდია, მისი მეუღლე, 78 წლის ნარი გეგეშიძე კი პენსიონერი. ხატიაშვილების ერთი ქალიშვილი საზღვარგარეთ, სამუშაოს საძიებლად არის წასული, მეორე დროებით უმუშევარი მარტოხელა დედაა და 15 წლის შვილს ზრდის. წლების მანძილზე, ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე გახსნილი კერძო ავტოსადგომი იყო, რომელსაც 1993 წლიდან 2011 წლამდე საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდნენ. 2011 წელს მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტომ" ოჯახს საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეუწყვიტა და ამის მიზეზად, საიჯარო საფასურის გადაუხდელობა დაასახელა, თუმცა ოჯახში არსებული გადახდის ქვითრები საპირისპიროზე მეტყველებს. ნარი გეგეშიძის მონაყოლიდან ირკვევა, რომ მათთვის ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა დავით ჭედიამ საკუთარ მეგობარზე

გაასხვისა. მოგვიანებით კი ზემოთ აღნიშნული ტერიტორია არაბმა ინვესტორებმა შეიძინეს. ნარი გეგეშიძისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის არა ერთი მიმართვის მიუხედავად, პროკურატურამ საქმეზე გამოძიების დაწყება საჭიროდ არ ჩათვალა, ხატიაშვილების ოჯახი კი დღემდე ქუჩაში დარჩენის საფრთხე ემუქრება. სად გაქრა ხატიაშვილების მიერ გადახდილი გადასახადები და როგორ დაკარგა ოჯახმა ერთადერთი საცხოვრებელი? „საერთო გაზეთს" ნარი გეგეშიძე ესაუბრა:

— თითქმის ერთი წელია, რაც ქუჩაში დარჩენის მოლოდინით ვცხოვრობთ. ჩემი მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია. ინსულტის შემდეგ პარალიზებულს დიაბეტური განგრენის გამო, აპრილში ფეხი მოკვეთეს და თავადაც ხედავთ, რომ ლოგინიდან ადგომა არ შეუძლია. ასეთი ავადმყოფი გამუდმებულ მოვლას საჭიროებს, ამიტომ შვილი მუშაობას ვერ ახერხებს და ჩვენ გვივლის. ამბის მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებ და გეტყვით, რომ 1964 წლიდან 2007 წლამდე გლდანის 1 მიკრორაიონში მდებარე 33-ე ბაგა-ბაღის გამგედ ვიმუშავე. ბაღის შენობის უკან 1800 კვ.მ. ნაგავსაყრელად ქცეული ტერიტორია მდებარეობდა. მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის შემდეგ მოსახლეობას ეკონომიურად გაუჭირდა. ყველა ცდილობდა, პატარა ბიზნესი წამოეწყო და ოჯახი ამით ერჩინა. მეც ამ პერიოდში გადავწყვიტე ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ნაგავსაყრელად ქცეული ტერიტორია გამესუფთავებინა და ავტოსადგომი გამეხსნა. 1995 წელს ხსენებული მიწის ნაკვეთი იჯარით ავიღეთ, გავასუფთავეთ, მავთულბადით შემოვღობეთ, ნარგავები ჩავყარეთ და ღამის ავტოსადგომი გავხსენით. მაშინ ქონების მართვის სააგენტოს ნაცვლად, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული არქიტექტურის სამსახური იყო და იქ ხუთწლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ, რომელიც ვადის გასვლის შემდეგ გავაგძელეთ. ბოლო, მესამე ხელშეკრულება 2007 წელს გაფორმდა და 2013 წლის 6 ივლისამდე ჰქონდა ვადა. საიჯარო გადასახადს, რომელიც წელიწადში 6000 დოლარს შეადგენდა, წლების მანძილზე კეთილსინდისიერად იხდიდით. 2010 წელს ქონების მართვის სააგენტომ 4 წლის საიჯარო გადასახადების წარდგენა გვთხოვა. მოთხოვნის შესაბამისად, მერიაში გადახდის ქვითრები წარვადგინეთ. მერიამ დაადასტურა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და შენიშვნა არ მიგვიღია. 2011 წელს მერიამ უძრავ ქონებაზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, საიჯარო გადასახადის ოდენობის გადახედვა გადაწყვიტა და სამხარაულის საექსპერტო ბიუროს ექსპერტიზის გავლა მოგვთხოვა. ეს ეტაპიც გავიარეთ და მერიაში ავიღეთ საბუთი, რომლის მიხედვით, საიჯარო გადასახადი იგივე დარჩა, თუმცა 6000 დოლარის ნაცვლად, ამ თანხის ექვივალენტი ლარებში უნდა გადაგვეხადა. ყოველთვიურად, 500 დოლარის ექვივანენტს ვიხდიდით ლარებში. 2011 წელს ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვის მიზნით, მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსს დავით ჭედიას შესაბამისი განცხადებით მივმართეთ და აქედან დაიწყო ჩვენი ოჯახის უბედურება..

— **თანმიმდევრობით გვიამბეთ რა მოხდა.**

— როგორც გითხარით, 2011 წელს გადავწყვიტეთ, რომ ნაკვეთი, რომელსაც 18 წელი ვუვლიდით, შეგვესყიდა და ბიზნესი გაგვეფართოვებინა. მიწის შესაძენი თანხა რომ მოგვეძიებინა, ბინა კერძო იპოთეკით დავტვირთეთ. ამასობაში, მერიამ მოგვწერა, რომ ჩვენს განცხადებას განიხილავდნენ, მაგრამ მანამდე მიმდებარე საცხოვრებელ კორპუსთან წითელი ხაზების დადგენა უნდა მომხდარიყო. ჩემი ფულით გავაკეთე გამიჯვნა ბაგა-ბაღის ტერიტორიიდან და ყველაფერი მერიაში წარვადგინე, მაგრამ ტერიტორიის შესყიდვის ნაცვლად, 2011 წლის 30 დეკემბერს ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დავით ჭედიამ ხელშეკრულება უკანონოდ შეგვიწყვიტა.

— **ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი რა იყო?**

— საფუძველი ვითომ იჯარის საფასურის გადაუხდელობა იყო, სინამდვილეში კი ჭედიას ამ ტერიტორიის დასაკუთრება სურდა. შეგახსენებთ, რომ ამ ადამიანზე 2014 წელს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა, თუმცა, გამოძიებასთან ითანამშრომლა და პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენა მოახერხა. რა თქმა უნდა, დავინტერესდი იჯარა რატომ შემიწყვიტეს. მიპასუხეს, რომ საიჯარო გადასახადის დადგენასთან დაკავშირებით, წერილი გამოგიგზავნეთ, მერიაში მოსვლა გთხოვეთ და არ მოხვედითო. სინამდვილეში, წერილი არ ჩაგვბარებია და ამის დამადასტურებელი საბუთიც გვაქვს. ქონების მართვის სააგენტომ ჩვენი არგუმენტები არ გაითვალისწინა და სასამართლოში გვიჩივლა. ჩემს ოჯახს 25 000 დოლარის გადახდას თხოვდნენ, საიდანაც საიჯარო თანხა 17 641 დოლარს, ხოლო პირგასამტეხლო 8820 დოლარს შეადგენდა.

— **როგორც ბრძანეთ, ქონების მართვის სააგენტომ 2010 წელს თქვენი 4 წლის საიჯარო გადასახადები შეამოწმა და დარღვევა ვერ ნახა. საინტერესოა, ერთ წელიწადში 25 000 დოლარიანი დანაკლისი საიდან აღმოაჩინეს?**

— საქმეც ესაა.. 25 000 ლარი ფაქტობრივად, 4 წლის ქირა იყო და გამოდის, რომ 4 წელი არაფერი გადამიხდია. მალე გაირკვა, რომ ჩვენს მიერ ბანკში ყოველთვიურად გადახდილი თანხის ოდენობა, ქვითრებს არ ემთხვეოდა. მაგალითად, მერიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში წერია, რომ 2009 წლის იანვარში ჩემმა ოჯახმა 291 ლარი გადაიხადა, ჩვენი ქვითრის მიხედვით კი ეს თანხა 834 ლარს შეადგენს. მერიის მონაცემებით, 2009 წლის თებერვალში შეტანილი თანხა 292 ლარია, ჩვენი ქვითრის მიხედვით კი გადახდილი თანხა 837 ლარი გახლავთ. 2010 წლის მაისში მერიის მონაცემებით 311 ლარია გადახდილი, ქვითარში კი 890 ლარი ფიქსირდება. 2011 წლის მაისში მერიის მონაცემებით 294 ლარია გადახდილი, ქვითარზე 842 ლარი ფიქსირდება და ა.შ.

— **მერიამ საკუთარ მონაცემებსა და თქვენს მიერ გადახდილ ქვითრებს შორის ცდომილების არსებობა რით ახსნა?**

— ფულს სხვა კოდებზე რიცხავდითო, რაც სრული აბსურდია.. მე ზუსტად იმ სახაზინო კოდებზე ვრიცხავდი, რომლებიც ხელშეკრულებაშია მითითებული. სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, მერიის იურისტმა ლევან აფხაზავამ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა და ოჯახისგან უკვე არა 17 641 დოლარი, არამედ 17 641 ლარი და პირგასამტეხლო 8820 ლარი მოითხოვა. 11 ივლისს გამართულ სასამართლო პროცესზე კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა — მერიის ადვოკატმა ლევან აფხაზავამ სასამართლოს დავალიანების შესახებ ახალი დოკუმენტი წარადგინა და საიჯარო ქირის სახით 15 000 ლარით ნაკლები ანუ 2841 ლარი მოითხოვა, პირგასამტეხლოს სახით კი 8820 დოლარის ნაცვლად, 2081 ლარი. მერიამ სასამართლოზე ისიც კი ვერ ახსნა, თუ რატომ მოხდა მათ მიერ თანხის ამდენჯერ ცვლილება, თუმცა დარწმუნებული ვარ საიჯარო გადახდების დამადასტურებელი ქვითრები რომ არ შემენახა, პირველად დასახელებულ თანხას კაპიკს არ დააკლებდნენ და 25 000 დოლარის გადახდას მომთხოვდნენ. საბოლოოდ, სასამართლომ მერიის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2853 ლარისა და პირგასამტეხლოს 2064 ლარის გადახდა დაგვაკისრა, თუმცა მთელი უბედურება ისაა, რომ ჭედია სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაელოდა და პროცესების დასრულებამდე 6 თვით ადრე, მიწის ნაკვეთი თავის მეგობარზე ხათუნა გოგინაშვილზე გაასხვისა. სხვათა შორის, მისი მამა ზაურ გოგინაშვილი უმდიდრესი ადამიანია, რომელსაც თბილისში საცხოვრებელი კორპუსები, კახეთის რეგიონში ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები, ალკოჰოლური სასმელის კომპანიები, და ღვინის ქარხნები აქვს. აღსანიშნავია, რომ გოგინაშვილებს ქონების დიდი ნაწილი დავით ჭედიას ქონების მართვის სააგენტოს უფროსის პოზიციაზე მუშაობის პერიოდში აქვთ შეძენილი. მიწის ნაკვეთი მე რომ შემესყიდა, საფასური 2 თვეში უნდა დამეფარა, გოგინაშვილებს კი განვადებით მისცეს. ფაქტობრივად, დავით ჭედიამ და ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა თამარ მათიაშვილმა მიწის ნაკვეთი უკანონოდ წამართვეს, მაგრამ სამართალს დღემდე ვერ მივაღწიე.. ნათქვამია, დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო..



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

№55/15

07.07 2015წ.

— **როგორც ვიცი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ საქმის შესწავლის მიზნით პროკურატურას მიმართა. პროკურატურისგან რა პასუხი მიიღეთ?**

— საიას მიერ პროკურატურაში გაგზავნილ წერილში წერია, რომ ჩემი ოჯახი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და გაურკვეველია, რაზე დაყრდნობით არის გაანგარიშებული და კონკრეტულად, რომელი თვეების დავალიანებას ითხოვს მერია. წერილში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ჩემს მიერ დასახელებული ფაქტები სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და გამოძიებას ექვემდებარება, თუმცა, პროკურატურიდან მიღებულ წერილში ასეთი რამ წერია: „როგორც გადახდის ქვითრებიდან ჩანს, თქვენს მიერ საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდებოდა სხვადასხვა სახაზინო კოდებზე, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური 3208 სახაზინო კოდზე

გადახდილ თანხებს ანაწილებდა სახელმწიფო და ქალაქ თბილისის ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. შესაბამისად, ქალაქ თბილისის ბიუჯეტში აისახა გადახდილი თანხის 35%, ნაცვლად 100%-სა. ამიტომაც თბილისის მერიაში დაფიქსირდა თანხის არასრულად გადახდა“. საბოლოოდ, პროკურატურამ დაადგინა, რომ გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ დღემდე გაუგებარია, სად წავიდა ჩემს მიერ გადახდილი თანხის 65% და კეთილსინდისიერი გადამხდელი რატომ უნდა დავისაჯო ბიუროკრატიული შეცდომების გამო? ამის გარდა, საქმის სასამართლოში განხილვის დროს, არ მომხდარა იმ გარემოების გათვალისწინება, რომ იჯარით აღებული ფართის 38,3 კვ.მ მე არ მისარგებლია. 2007 წლიდან გლდანის რაიონის გამგებელმა აღნიშნული ფართი შემოღობა და იქ დევნილი მანანა თვარაძე ჩაასახლა, თუმცა ჩემი უამრავი მოთხოვნის მიუხედავად, იჯარის ხელშეკრულებაში არ მომხდარა ცვლილება ფართის ნაწილში და იმ ფართობის საიჯარო გადასახადქმარ მარინა მაღალდაძე და კობა კახნიაშვილებთან იპოთეკით დავტვირთეთ. ეს ადამიანები ცნობილი მევახშეები არიან და უამრავი ოჯახი ჰყავთ გამწარებული. სამაჩაბლოდან დევნილები არიან და მშვენივრად იციან რას ნიშნავს უსახლკაროდ დარჩენა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენი სახლიდან გაყრისთვის ყველაფერი გააკეთეს. ძირი თანხა 55000 დოლარი იყო. ამის სანაცვლოდ, 92000 დოლარი და ყვარლის რაიონი სოფელი საბუეში მდებარე მიწის ნაკვეთები წაგვართვეს და კიდევ 7000 დოლარს გვთხოვენ. 2017 წლის 27 ივნისს, როცა იპოთეკარები გამოსასახლებლად მოგვადგნენ, იძულებული გავხდი ნათესავის დახმარებით, ფული „საქართველოს ბანკიდან“ გამომეტანა და ახლა უკვე ბანკი გვედავება.. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაგვაგდო მერიის უსინდისო ჩინოვნიკის მოქმედებამ. ამჟამად, ჩვენი სახლი „საქართველოს ბანკის“ სახელზეა გადაფორმებული და კაცმა არ იცის, ქუჩაში როდის გაგვყრიან. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უცხოელი ინვესტორე-



საც მე ვიხდიდი, სადაც დევნილი ქალბატონი ცხოვრობდა.

— **როგორ აღმოჩნდა ხათუნა გოგინაშვილზე გასხვისებული მიწის ნაკვეთი არაბი ინვესტორების ხელში?**

— არაბი ინვესტორები გოგინაშვილის მეგობარმა და სამშენებლო კომპანია „ბონა დეა და კომპანიას“ დირექტორმა პაატა ნუცუბიძემ მოიძია და 2017 წლის მარტში გოგინაშვილმა ჩემთვის წართმეული მიწა მათ მიყიდა. სხვათა შორის, ამ არაბებს სხვა მიწის ნაკვეთებიც ჩამოურიგეს. ზოგი თბილისში, ზოგი, ჯიხაიშში და ზოგი იანეთში. დღეს მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჩემი ოჯახი 18 წლის განმავლობაში უვლიდა, მიშელ სალიბას, სეიფ ჰაჩიმის, კაზან ფარიდის, სეიფ ჟანის და სიმონ ტაბჩარანის მფლობელობაშია, მე და ჩემს ოჯახს კი გამოსახლება გვემუქრება, რადგან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, იპოთეკარებისთვის პროცენტების გადახდა ველარ შევძელით. როგორც გითხარით, მიწის შესაძენად, ბინა კერძო იპოთეკარებთან, ცოლბის უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე ჩვენი და მერე გვიკვირს, რატომ გარბის ხალხი ქვეყნიდან. ჩემს მეუღლეს თვეში სულ მცირე, 500 ლარის მედიკამენტი ჭირდება. ამ დროს, პირველი ჯგუფის ინვალიდია და მხოლოდ 180 ლარიან პენსიას იღებს. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს დახმარებოდა, ერთადერთი შემოსავლის წყარო წაგვართვა და ახლა ბინიდანაც გვაგდებს..

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურატურამ საქმეში გამოძიების დაწყების საფუძველი ვერ აღმოაჩინა და ნარი გეგეშიძეს საქმის განხილვა სასამართლოში ურჩია. ხატიაშვილების ოჯახს ახალი სამართლებრივი დავის დასაწყებად არც ფინანსური და აღარც მორალური რესურსი გააჩნია, ამიტომ როგორ დასრულდება გამოსახლების მოლოდინში მცხოვრები ოჯახის ამბავი, ჯერჯერობით, უცნობია..

ნელი თორდია
571 35 36 88

„როცა ასეთი მეგობარი გყავს, მტერი აღარ გჭირდება“

ირანის ბირთვული ხელშეკრულებიდან ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივად გასვლა მსოფლიოში აქტუალურ საკითხად რჩება. გასულ კვირას ბულგარეთში ევროკავშირის სამიტი გაიმართა, სადაც გეოპოლიტიკურ საკითხებზე უნდა ემსჯელათ. სამიტის დღის წესრიგში ბალკანეთის ქვეყნების მომავალი უნდა განეხილათ. ირანის საკითხმა დღის წესრიგი, ფაქტობრივად, შეცვალა. ბალკანეთის ქვეყნებზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ გაკვრით ისაუბრეს.

სამიტზე, ძირითადად, ევროკავშირ-აშშ-ის ურთიერთობა განიხილეს. გასაკვირი არც არაფერია, რადგან უკვე 1 ივნისს შედის ძალაში აშშ-ში იმპორტზე გაზრდილი გადასახადის კანონი. გამორიცხული არ არის, ევროკავშირმა აშშ-ს კონტრსანქციები დაუწესოს. რაც შეეხება ირანთან ბირთვულ შეთანხმებას, ევროპელები რჩებიან შეთანხმების ფარგლებში, ვიდრე ირანი ასრულებს დაკისრებულ პირობებს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა: „...თუ აშშ გავიდა ბირთვული ხელშეკრულებიდან, ჩვენ ხელს ნუ გვიშლის თანამშრომლობაშიო“. ევროკავშირის პრეზიდენტმა დონალდ ტასკმა კი სამიტზე აშშ-ის მისამართით თქვა: „...არსებულმა სიტუაციამ ერთი გამოთქმა გამახსენა — როდესაც ასეთი მეგობარი გყავს, მტერი აღარ გჭირდებაო... პრობლემაა, როდესაც უახლოესი მეგობარი არაპროგნოზირებადია“.

სავარაუდოდ, ევროკავშირი, მიუხედავად აშშ-ის მხრიდან მუქარისა, გააგრძელებს ირანისგან ნავთობის შეძენას. როგორც ბულგარეთში ითქვა, ანგარიშსწორება ევროთი განხორციელდება და არა აშშ-ის დოლარით, როგორც აქამდე იყო. ცნობილი გახდა, რომ ევროკომისარი ენერგოსაკითხებში ახლო მომავალში ეწვევა ირანს.

დასავლელი პოლიტოლოგები ევროპის სუვერენიტეტზე კვლავ ალაპარაკდნენ. ვინც ბოლოს აშშ-ს შეეწინააღმდეგა ევროპაში, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი შარლ დე გოლი იყო. ეს მოხდა გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს. პოლიტოლოგების განცხადებით, ევროპელები ახლაც ეძებენ გზებს სანქციების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეყოფათ თუ არა ძალა, ბოლომდე იბრძოლონ, ექსპერტებს ამის პროგნოზირება უჭირთ. ამასობაში კი ფრანგულმა „ტოტალმა“ სანქციების შიშით უკვე დატოვა ირანი.

დიდი დრო არ გასულა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ლიდერების თბილი შეხვედრის შემდეგ, რომელიც აპრილის ბოლოს შედგა. გასულ კვირას კიმ ჩინ ინმა დემონსტრატიულად თქვა უარი მუნ ჯინ ინთან შეხვედრაზე. მიზეზად აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი სამხედრო წვრთნები დასახელდა, რომელიც ჩრდილოეთის მხარემ მუქარად აღიქვა. საფრთხის ქვეშ დადგა უკვე 12 ივნისს დაგეგმილი დონალდ ტრამპისა და კიმ ჩინ ინის შეხვედრაც. ამიტომაც აშშ-ს დათმობაზე მოუხდა წასვლა და წვრთნების მასშტაბები შეამცირეს. ექსპერტებმა ეს კიმ ჩინ ინის მცირე წარმატებად აღიარეს.

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ტრამპი პოლიტიკაში ბიზნესის პრინციპით მუშაობს. პარტნიორის აზრს არ ითვალისწინებს და ცდილობს, საწადელს ცალმხრივად მიაღწიოს. საინტერესოა, რომ ტრამპმა საზოგადოებას მიანიშნა, კადაფმა სიცოცხლე წამებით დაასრულა, კიმ ჩინ ინს კი შეუძლია უზრუნველად იცხოვროსო. ექსპერტები შიშობენ, რომ აშშ-ის ირანის ბირთვული ხელშეკრულებიდან გამოსვლამ, შესაძლოა, უარყოფითი როლი შეასრულოს ჩრდილოეთ კორეის მოლაპარაკებისას. დაიჯერებს თუ არა კიმ ჩინ ინი დაპირებულ უზრუნველ ცხოვრებას, ახლო მომავალში გამოჩნდება.

ჩრდილოეთ კორეის მიმართებაში რომ ჯერ კიდევ გაურკვევლობაა, მიმომხილველები ამასაც აღიარებენ. კორეელებს უსაფრთხოების გარანტია არ მიუღიათ. დონალდ ტრამპმა არ დააკონკრეტა, შეამცირებს თუ არა სამხედრო კონტინგენტს სამხრეთ კორეის ბაზებზე. აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, როგორ გაიმართება და რა შედეგით დასრულდება სინგაპურში დაგეგმილი შეხვედრა. პოლიტოლოგები იმასაც აღნიშნავენ, რომ არასოდეს ყოფილა შემთხვევა, აშშ-ის რომელიმე პრეზიდენტს ერთბაშად ყველას წინააღმდეგ გაელაშქრა, ან ევროპელებისთვის შემოსავალი წაერთმია. მათივე განცხადებით, აშშ ირანს უბიძგებს, შექმნას ბირთვული იარაღი, რითაც მსოფლიო კოლაფსისკენ მიჰყავს.

ბულგარეთში გამართული ევროკავშირის ქვეყნების სამიტის შემდეგ გერმანიის კანცლერი რუსეთში ჩავიდა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შესახვედრად. როგორც ცნობილი გახდა, საუბარი აშშ-ის ირანთან ბირთვული პროგრამის ხელშეკრულებიდან გამოსვლას და გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის შესახებ მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ ამერიკული მხარე დღემდე ეწინააღმდეგება გაზსადენის გაყვანას, მაგრამ მერკელი შეუვალი აღმოჩნდა. მშენებლობას პოლონეთი და უკრაინაც ეწინააღმდეგება, რადგან უფუნქციოდ რჩებიან და ტრანზიტიდან შემოსავალს (სავარაუდოდ, წელიწადში 3 მლრდ დოლარი) დაკარგავენ. მიუხედავად ყველაფრისა, მშენებლობა რუსეთსა და გერმანიაში ინტენსიურად მიმდინარეობს.

სოჭში ანგელა მერკელის ჩასვლამდე სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი იმყოფებოდა. ტერორიზმთან ბრძოლის შედეგების განხილვის გარდა, პრეზიდენტებმა სირიის ეკონომიკურ განვითარებაზე, ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობაზე დაიწყეს საუბარი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ სრული დამარცხება ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

გასულ კვირას ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ევრაზიული კავშირის ეკონომიკური სამიტი გაიმართა. შეხვედრაზე ევრაზიის ქვეყნებმა ირანს გაუმარტივეს ვაჭრობის პირობები. თავისუფალი ვაჭრობის სრული პაკეტი 3 წლის მანძილზე ამოქმედდება. სოჭში კი ევრაზიული კავშირის ქვეყნების მეთაურები შეიკრიბნენ. სწორედ სოჭში შედგა პირველი შეხვედრა ვლადიმირ პუტინსა და სომხეთის ახალარჩეულ პრემიერ-მინისტრ ნიკოლ პაშინიანს შორის, თუმცა, კვლავ უცნობი დარჩა, თუ სამომავლოდ რომელ კურსს აირჩევს სომხეთის ხელისუფლება. სომეხი მიმომხილველები აცხადებენ, რომ პაშინიანმა რევოლუციით „პანდორას ყუთი“ გახსნა, რითიც გაართულა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება. მომავალი გვიჩვენებს თუ რა მოხდება ჩვენს სამეზობლოში.

გია ბურდული
551 71 27 07

კაცი, რომელიც სიკეთის ქმნას ვერ გადაეჩვია

– ერთი კარგი კოლხი უნდა გაგაცნო, – მითხრა ჩემმა მეგობარმა. – დიდი ხანი ცხოვრობდა რუსეთში, ახლა საქართველოში დაბრუნდა და აქ დამკვიდრდა. საინტერესო ადამიანია ძალიან... წამოდი, არ ინანებო.

ვაკეში ერთ კოპწია სახლს მივადექით.

ჭიშკარი მასპინძელმა გაგვიღო.

მაღალი, ახოვანი კაცი იყო, აი, ისეთი, ათას კაცში რომ გამოარჩევ და რაღაც განსაკუთრებული იერით აუცილებლად მიხვდები, რომ უეჭველად კოლხია.

საუბარი უცებ აეწყო.

ჩვენი მასპინძელი ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა, თანაც შესანიშნავი ქართულით მეტყველებს, ყოველგვარი აქცენტის გარეშე, რუსეთში დიდი ხნით ნაცხოვრებ ქართველებს რომ ახასიათებთ ხოლმე.

– ცოტა ხნის წინათ ლეჩხუმში ვიყავი, გორდში დადიანების საზაფხულო რეზიდენცია მოვინახულე. მომავალ კვირას მთის სამეგრელოში ვაპირებ წასვლას. მეგრელი კი ვარ, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, მთის სამეგრელოში ნამყოფი არ ვარ. არადა, ვიცი, უნიკალური ადგილებია იქ. მერე სხვა კუთხეების მონახულებაც მაქვს დაგეგმილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ სიბერეში მოგზაურად ვიქეცი. ადრე ამის დრო არ მქონდა. არადა, ამქვეყნიდან ისე როგორ უნდა წავიდეს კაცი, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული ნანახი არ ქონდეს. ონჯღორე რე, სირცხვილია, – ამბობს ჩვენი მასპინძელი.

– სირცხვილია, შენს ქვეყანას არ იცნობდეო – სხვა დროსაც ბევრისგან და ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ამ კაცმა ისეთ უცნაურ კონტექსტში თქვა ეს, აქამდე არავისგან რომ არ მსმენია.

ასაკოვანი კაცია ჩვენი მასპინძელი, ჩემი მეგობრისგან ვიცი, რამდენი წლისაც არის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ასაკი საერთოდ არ ეტყობა, თუმცა, ჩემი ვარაუდით, მისი დაუოკებელი სურვილი, როგორმე ყველაფრის ნახვა მოასწროს და ყველაფერს შეავლოს თვალი თავის მონატრებულ სამშობლოში, სწორედ ასაკს უკავშირდება...

როგორც საუბარში გაირკვა, ჩვენი მასპინძელი შესანიშნავად ერკვევა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, უფრო მეტიც, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ის თვითონ იყო აქტიურად ჩართული პოლიტიკურ პროცესებში.

– მართალია, სამეგრელოში დავიბადე, მაგრამ ოთხი წლის ვიყავი, ჩვენი ოჯახი აფხაზეთში რომ გადავიდა საცხოვრებლად. ასე რომ, აფხაზეთიდან ვარ. ცხადია, უამრავი მეგობარი და ახლობელი მყავდა იქ. შეიძლება ითქვას, მთელი აფხაზური ელიტა, როგორც პოლიტიკოსები, ასევე ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩემი საძმაკაცო და სამეგობრო იყო.

ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა, ჩემი სახლი მოსკოვში ერთგვარ შტაბად იქცა, სადაც ქართველები და აფხაზები სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდნენ.

ისე გამოვიდა, რომ ამ შეხვედრების ინიციატორი და ორგანიზატორი მე ვიყავი, რადგან მე მომყავდა ამ შეხვედრებზე ჩემი მეგობარი აფხაზები, ადამიანები, რომლებიც აფხაზი ერის ლიდერებს წარმოადგენდნენ და რომელთა სიტყვასაც დიდი წონა ჰქონდა.

– რა საინტერესო ამბებს ჰყვებით, ჩემო ბატონო... არ შეიძლება, ეს ყველაფერი დაიწეროს და გამოქვეყნდეს?

– კი, როგორ არ შეიძლება, მაგრამ ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი არ გამოვა – ვიღაც იფიქრებს, ამ სიბერეში თავის გამოჩენა მომინდა და იმიტომ ვაკეთებ ამას... არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია. მე, უბრალოდ, ამ შეხვედრების ერთი რიგითი ორგანიზატორი ვიყავი და მეტი არაფერი. გაზეთებში და ტელევიზიებში ამაზე ლაპარაკს ვერ დავიწყებ...

ინტერვიუზე კატეგორიულ უარს მეუბნება, თუმცა ამბის თხრობას აგრძელებს, ოღონდ იმ პირობით, რომ მისი გვარ-სახელი გაზეთში არ მოხვდება.

ვთანხმდებით.

ის ჰყვება დრამატიზმით და ტრაგიზმით სავსე ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველები და აფხაზები, როგორმე განემუხტათ ასაფეთქებლად გამზადებული სიტუაცია და თავიდან აეცილებინათ ძმათამკლველი ომი.

თავიდან ყველაფერი ლაგდებოდა. თანხმდებოდნენ ურთიერთმისაღებ გეგმებზე, მაგრამ რაღაც დროის გასვლის შემდეგ რომელიღაც უჩინარი და უხილავი ძალა თავდაყირა აყენებდა ყველაფერს.

ასე იყო ომამდე... ასე გაგრძელდა ომის შემდეგაც.

ჰყვება, როგორ ცხოვრობდა თვეების განმავლობაში მის სახლში ზვიად გამსახურდია. გვიამბობს იმის შესახებაც, ვის ხვდებოდა იგი და რა საკითხებზე მიდიოდა საუბარი.

საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უკვე სხვა ადამიანები ჩამოდიოდნენ მის სახლში და აფხაზ პოლიტიკოსებთან, ავტორიტეტულ და გავლენიან აფხაზებთან სთხოვდნენ შეხვედრების ორგანიზებას.

თემა იგივე იყო – ქართველთა და აფხაზთა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ახალი ინიციატივების წინ წამოწევა.

ამ შეხვედრების შემდეგაც თითქოს ცხადად იკვეთებოდა იმედისმომცემი კონტურები, მაგრამ ისტორია ისევ და ისევ მეორდებოდა და ძლივს შეკოწიწებული თანხმობა ვიღაც უჩინარის ხელით კვლავ ნაცარტუტად იქცეოდა.

მისი სახლი კონსპირაციულ, საიდუმლო შეხვედრების ადგილად იქცა, სადაც არაოფიციალურ ვითარებაში ადამიანები აბსოლუტურად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, რომლებსაც, სამწუხაროდ, რეალობად ქცევა არ ეწერა.

– ყველა გონიერ და პატრიოტ აფხაზს, ისე, როგორც ყველა გონიერ და პატრიოტ ქართველს, არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ ომი ჩვენს შორის მიუღებელია, დაუშვებელია, რადგან ამ ომს არ შეიძლება ჰყავდეს გამარჯვებული მხარე – ქართველის დამარცხება აფხაზის დამარცხებაა და პირიქით.

რუსეთში მცხოვრები აფხაზების და ქართველების ურთიერთობაში ბზარი არ გაჩენილა. ისინი ისევ ისე მეგობრობენ, როგორც მეგობრობდნენ და ერთმანეთს ძველებურად თავისიანებად და ახლობლებად თვლიან.

დამიჯერეთ, ქართველს რომ რაიმე ინციდენტი შეემთხვეს, აფხაზი უყოყმანოდ დადგება მის გვერდით.

თუ ეს ასე ხდება საქართველოს გარეთ, თუ საქართველოს საზღვრებს გარეთ ერთმანეთი ისევ გვიყვარს, თუ საქართველოს საზღვრებს იქით კვლავ ერთმანეთი გვეიმედება, აქ, შიგნით, რატომ ვართ გაუცხოებულნი და დაუბრებულნი? – ამბობს ჩვენი მასპინძელი და ხმაში ბზარი ეპარება.

სიჩუმე ჩამოწვა.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, თუმცა უკვე გვიანი იყო და ჩვენი კეთილი მასპინძელი ზედმეტად რომ არ შეგვეწუხებინა, მალევე წამოვედით.

●

– როგორ მოგეწონა ჩემი კოლხი ძმაკაცი? – მეკითხება ჩემი მეგობარი და გამომცდელი თვალებით მიყურებს.

– ძალიან საინტერესო პიროვნებაა... რა სამწუხაროა, რომ ინტერვიუზე უარს ამბობს.

– ასეთი ხასიათი აქვს... საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს. ხომ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მას, ფაქტობრივად, არაფერი არ უთქვამს შენთვის, ვინ არის სინამდვილეში და როგორი წესით იცხოვრა ამ ქვეყანაზე.

მისი სახლი მართლაც საქართველოს არაოფიციალურ საელჩოსავით იყო მოსკოვში, სადაც ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი უამრავი შეხვედრა გამართულა.

ამ შეხვედრებს სერიოზული ფინანსური ხარჯები ახლდა თან, რომლებსაც, ცხადია, ის ფარავდა.

მას იმ დროისთვის დიდი ბიზნესი ჰქონდა რუსეთში და იქ მცხოვრებ ქართველებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ფულიანი კაცი იყო, ეს ფული კი ღია იყო ყველასთვის, ვისაც კი რაიმე უჭირდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნაცნობი იყო ეს თუ უცნობი, ის ხელს უმართავდა ყველას, ვინც დახმარებისთვის მიმართავდა. თუმცა ზოგჯერ მიმართვა არც იყო საჭირო – თუ გაიგებდა, ამა და ამ კაცს რაღაც პრობლემები აქვსო, თვითონ მიდიოდა მასთან.

– მას თხოვნა და რაღაცის თქმა არ სჭირდება – თვალებში შემოგხედავს და იცის, რამდენი გჭირდებაო, – ხუმრობდნენ ხოლმე მისი მეგობრები.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ მის სახლს უამრავი ადამიანი მიაწყდა.

რაც არ უნდა მდიდარი ყოფილიყო, ერთი კაცისთვის მაინც ძალზე ძნელი იყო ამ ტვირთის აწევა, მაგრამ უკან არ დაუხევია და უარით არავინ გაუსტუმრებია – ყველას დაეხმარა, ყველას უპატრონა, რითაც შეეძლო.

ამასობაში რუსეთში სიტუაცია შეიცვალა – ქართველების შევიწროება დაიწყეს და მის ბიზნესსაც დიდი ზიანი მიადგა, მაგრამ ეს დარტყმაც მარტოდმარტომ გადაიტანა, ისე, რომ არავინ შეუწუხებია, მათ შორის არც ისინი, რომლებიც მისგან ბევრი რამით იყვნენ დავალებულნი...

ხანდახან, მეგობრები რომ ვეტყვით – დიდი კაცი ხარ შენ, იმდენი კარგი საქმე გაქვს გაკეთებული და იმდენი სიკეთე გაქვს დათესილიო, გულწრფელად წყინს – არაფერი განსაკუთრებული მე არ გამიკეთებია, რასაც მე ვაკეთებდი, ამას ყველა ნორმალური ადამიანი უნდა აკეთებდეს თავისი შესაძლებლობების ფარგლებშიო, – გვპასუხობს.

...სახლში დაბრუნებული დიდხანს ვფიქრობდი ამ ადამიანზე, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ასე მოულოდნელად „აღმოვაჩინე“.

„არაფერი მიკვირს ამ ცხოვრებაში. მიკვირს მხოლოდ კარგი ადამიანების არსებობა“ — თქვა ამასწინათ მანანა თოდაძემ, შესანიშნავმა მომღერალმა და ადამიანმა.

ამ პირქუშ და სევდიან წუთისოფელში, ამ ჭრელი და მკაცრი მასის ორომტრიალში კარგი ადამიანის პოვნა ისეთივე ბედნიერებაა, როგორც ასტრონომისთვის ახალი ვარსკვლავის აღმოჩენა, როგორც კომპოზიტორისთვის ახალი აკორდის აჟღერება, როგორც მხატვრისთვის ახალი ფერის მიგნება.

ქვეყანა კარგი ადამიანების მხრებზე დგას, უფრო მეტიც, სამყაროს კარგი ადამიანები რომ არ უნარჩუნებდნენ ბალანსს და წონასწორობას, ცუდი და ეგოისტი ადამიანების წყალობით, ის კარგა ხნის წინათ იქნებოდა გადასხლეტილი ორბიტიდან.

ვახტანგ ხარჩილავა
593 44 04 01

უძველესი ვარსკვლავური კარიბჭეები და სხვა სამყაროებში გასასვლელი პორტალები

ბევრ უძველეს კულტურაში შემონახულია გადმოცემები სხვა სამყაროებში გასასვლელი პორტალების შესახებ, სადაც ადამიანების „შემქმნელები“ ცხოვრობენ. დღემდე ითვლებოდა, რომ ეს ყოველივე მითები და ლეგენდებია. თუმცა, ახლახან გასაჯაროებულ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო დოკუმენტებში ლაპარაკია იმაზე, რომ დედამიწას სტუმრობდნენ არსებები სხვა პლანეტებიდან და გაწზომილებებიდან. ნასამ კი განაცხადა, რომ, დედამიწის მაგნიტურ ველში არსებობს დაფარული პორტალები. ყველა საუბრობს იმაზე, რომ ვარსკვლავური კარიბჭეების, პარალელურ სამყაროებში გასასვლელი პორტალებისა და სივრცითი და დროის ხვრელების არსებობა შესაძლოა, სიმართლეც იყოს...

„ღმერთების კარიბჭე“, პუერტო დე ხაიუ მარკა, პერუ

ეს კარიბჭე 1996 წელს აღმოაჩინა დამწყებმა გიდმა ხოსე ლუის დელგადო მამანიმ. იგი ამტკიცებს, რომ მანამდე დიდი ხნის განმავლობაში ხედავდა კარიბჭეს სიზმრებში. ხოსეს თქმით, მას ესიზმრებოდა გზა, რომელიც ვარდისფერი მარმარილოთი მოპირკეთებული კარიბჭისკენ მიდიოდა, საიდანაც ცისფერი სინათლე გამოდიოდა და მოკიაფე გვირაბს ჰგავდა. ადგილობრივები ამბობენ, რომ კარიბჭე „ღმერთების მიწამდე მიდის“. კარიბჭეში ორი ჭრილია, უფრო მოზრდილი ღმერთებისთვისაა, მომცრო კი ადამიანებისთვის. ლეგენდის მიხედვით, ვინც ღმერთების კარიბჭეში შევიდა, მან უკვდავება მოიპოვა და ღმერთებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

ერთი ლეგენდა მამანის სიზმრებს ადასტურებს. მასში ნათქვამია, რომ, როცა პერუში ესპანელი კონკისტადორები ჩამოვიდნენ და ინკების სიმდიდრის ძარცვა დაიწყეს, ერთი ქურუმი ამარუ მარუ ტაძთიდან ოქროს დისკთან ერთად — „შვიდი სხივისგან შექმნილი ღმერთების გასაღები — გაიქცა. მან ღმერთების კარიბჭეს მიაღწია და მცველებს გადასცა დისკი. მათ რაღაც რიტუალი ჩაატარეს, კარიბჭე გაიღო, საიდანაც ცისფერი სინათლე გამოდიოდა, ამარუ მარუ შიგნით შევიდა და გაქრა.

აბუ ჰურაბი, ეგვიპტე

აბუ ჰურაბის ტაძარი, რომელიც მემფისში მდებარეობს, პლანეტაზე უძველესად ითვლება. ის ჩვენს ერამდე III ათასწლეულშია აგებული. აქ არის ეგვიპტური ბროლისგან დამზადებული უძველესი პლატფორმა, რომელსაც თითქოს „დედამიწასთან უნისონში ვიბრირება“ შეუძლია. ამასთან, ის იხსნება, რათა ადამიანმა შეძლოს პირისპირ ესაუბროს „ღმერთებს — სამყაროს უმაღლეს ენერგიებს“ და ზეცაში გადაადგილდეს.

საინტერესოა, რომ ეს ლეგენდები სამყაროებს შორის გადაადგილების შესახებ ინდიელ ჩეროკების მითებს ძალიან ჰგავს. ჩეროკების ლეგენდებში საუბარია იმაზე, რომ რაღაც უფორმო მოაზროვნე არსებებს შეუძლიათ „ხმოვანი ტალღით“ იმოგზაურონ პლეადის სისტემიდან დედამიწაზე.

ლეგენდების გარდა, აბუ ჰურაბის პლატფორმა იმითაც გვაოცებს, რომ ის თითქოს უმაღლესი ტექნოლოგიებით არის შექმნილი. მაგალითად, მასში იდეალურად სწორი ნახვრეტებია გაბურღული.

ქვის კონსტრუქცია მიჩიგანის ტბაზე

2007 წელს ჩაძირული ხომალდების ნარჩენების ძიებისას მეცნიერებმა მიჩიგანის ტბაში, 12 მეტრის სიღრმეზე, მიჩიგანის უნივერსიტეტის წყალქვეშა არქეოლოგიის პროფესორმა მარკ ჰოლიმ და მისმა კოლეგამ ბრაიან ებოტმა აღმოაჩინეს ქვის ნაგებობა. ისინი თვლიან, რომ ნაგებობა, რომელიც სტოუნჰენჯს წააგავს, დაახლოებით 9000 წლისაა. თუმცა ძალზე საინტერესოა, რომ ერთ ქვაზე ამოტვიფრულია მასტოდონტი, რომლებიც 10000 წელზე მეტი ხნით ადრე გადაშენდნენ.

აღმოჩენის ზუსტი კოორდინატები ადგილობრივი ინდიელების თხოვნით არ გახმაურებულა. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს ნაგებობა ვარსკვლავური კარიბჭის ნარჩენებია.

ადრე ეს ადგილი ცნობილი იყო, როგორც „მიჩიგანის სამკუთხედი“. აქაც ისევე, როგორც ბერმუდის სამკუთხედში, ძალიან უცნაურად ქრებიან ადამიანები და ხომალდები.

1891 წელს აქ დაიკარგა შხუნა ეკიპაჟის 7 წევრთან ერთად. 1921 წელს 11 ადამიანი გაქრა, რომლებიც ნავის ბორტზე იმყოფებოდნენ. ნავი მოგვიანებით ცარიელი იპოვეს.

სტოუნჰენჯი, უილტშირის საგრაფო, ინგლისი

დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი სტოუნჰენჯია. მასთან დაკავშირებით კამათი დღემდე არ ცხრება, რადგან ვერ დაადგინეს, როდის და რა მიზნით აიგო ის. ისტორიკოსების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სტოუნჰენჯი დაახლოებით 5000 წლის წინათ აიგო ქვებით, რომლებიც 386 კმ-ით დაშორებული ქვის სამტეხლოდან მოიტანეს.

საყურადღებოა, რომ სტოუნჰენჯი მდებარეობს რამდენიმე წარმოსახვითი ხაზის გადაკვეთაზე, რომლებიც აერთიანებს დედამიწაზე ყველაზე უჩვეულო ცივილიზაციების ნაკვალევს. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, სტოუნჰენჯი ვარსკვლავური კარიბჭეა, რასაც აქ მომხდარი ერთი უცნაური შემთხვევაც ადასტურებს.

1971 წლის აგვისტოში აქ დაიკარგა ჰიპების მთელი კომპანია, როგორც ჩანს, კარიბჭის „გააქტიურების“ მცდელობისას. მათ კარვები იქვე გაუშალიათ. თვითმხილველები იხსენებენ, რომ ღამის ორ საათზე სტოუნჰენჯის ტერიტორიაზე მეხი ჩამოვარდა, გამოჩნდა ცისფერი სინათლე და ყვირილი გაისმა. როცა შემთხვევის ადგილას პოლიცია მივიდა, იქ არც ერთი ადამიანი არ დახვედრიათ — ადგილზე იყო კარვები და მოგიზგიზე კოცონი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— ვაპირებ განქორწინებას მეუღლესთან. იგი არის ფეხმძიმედ. ამასთან, მას არ სურს განქორწინება. ხომ არ შემექმნება პრობლემები განქორწინებასთან დაკავშირებით.

— დიახ, პრობლემები სეგექმნებათ, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123 -ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.

* * *

— რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქები თ.

* * *

— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების დადება სანოტარო დადასტურების გარეშე?

— არა, არ შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174 -ე მუხლსი მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით.

* * *

— გთხოვთ. მოგვაწოდოთ მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1206–1211-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც მოგაწოდებთ სრულად:

მუხლი 1206. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა

1. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

მუხლი 1207. მშობლისუფლებამოვალეობაჩამორთმეული პირის შვილის უფლებები

მშობლისუფლებამოვალეობაჩამორთმეული პირი კარგავს ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას იმ შვილთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც მას ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და მოვალეობა. შვილი, რომლის მშობელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება და მოვალეობა, ინარჩუნებს ამ მშობლის მიმართ ნათესაობიდან გამომდინარე ქონებრივ უფლებებს, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების უფლებას.

მუხლი 1209. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა

1. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით.

2. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.

3. პირისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის სურვილსაც, თუ მას შეუსრულდა ათი წელი.

4. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანა ბათილად იქნა ცნობილი.

5. მშობლის უფლებები და მოვალეობები ავტომატურად აღდგება შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 1211. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა

1. ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს მშობლების მიერ ნოტარიალურად ან, თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე.

2. ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს ანდერძის საფუძველზე.

„ახალი შუამთა“ – სულიერებისა და კულტურის სავანე



დედა იოანა

იმიტომ კი არ ღებულობს ერი ცოდვების გამო მიტევებას, რომ ეს პრივილეგიაა, არამედ იმიტომ, რომ ღმერთია მრავალმოწყალე — ასე გასცა პასუხი ამ კითხვას ჩვენმა მასპინძელმა, ახალი შუამთის დედათა მონასტრის იღუმენიამ, **დედა იოანამ (ნიკოლაიშვილი)**.

„შუამთის საძმოს“ წევრები: ლიტერატორი, ბატონი **ზაალ ბოტკოველი**, მწერალი **ვანო ჩხიკვაძე**, მწერალი და პუბლიცისტი, „საერთო გაზეთის“ რედაქტორი, ბატონი **ვახტანგ ხარჩილავა**, უფლებადამცველი, ბატონი **ნიკოლოზ მჟავანაძე** და ჟურნალისტი, ბატონი **დიტო ჩუბინიძე** კვლავ შეიკრიბნენ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე საბაასოდ ახალ შუამთაში, ხახულის ღვთისმშობლის სავანეში, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ მლოცველ დედებთან.

შემთხვევით არაფერი ხდება და ეს შეხვედრაც შემთხვევითი არ ყოფილა.

ხახულის ღვთისმშობელი, როგორც შატბერდის მატიანე იუწყება, ლუკა მახარებელს დაუწერია მაცხოვრის დაბადების ადგილის — ბაგის ფიცარზე.

დედა იოანა გვიყვება: „X ს-ში უკვე არსებობდა ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი ტაო-კლარჯეთში. შემდეგ სწორედ ამ ხატის საპატივცემულოდ ააგო გელათი დავით აღმაშენებელმა და თავის განსასვენებლადაც ეს ადგილი აირჩია.

ახალი შუამთაც ხახულის ღვთისმშობლის ხატის სახელზე აშენებული მონასტერია“.

სწორედ ამ წმინდა ადგილას შეგვკრიბა ორგანიზაციის დამფუძნებელმა, გამოჩენილმა თელაველმა საზოგადო მოღვაწემ და ცნობილმა პედაგოგმა, ქალბატონმა **ლამარა იანვარაშვილმა**, ქვეყნის სატკივარზე სასაუბროდ და გამოსავლის საძიებლად.

რით ვუწამლოთ საქართველოს! — ეს იყო ჩვენი შეხვედრის მთავარი თემა. გამოითქვა მოსაზრებები, დაისახა მიზნები, საბოლოო სიტყვა კი კვლავ იღუმენიას, დედა იოანას ერგო, რომელმაც გადარჩენის ერთგვარ ფორმულირებასავით დაასახელა ერის სულიერების ამაღლების აუცილებლობა. „90-იან წლებში წმინდა მამა გაბრიელისთვის უკითხავს ერთ მღვდელს: მამაო, ეკლესიაში ხალხი ნაკლებად დადის და რა უნდა ვქნათო?! მამა გაბრიელს უპასუხია: ხალხს ზნეობა ასწავლეთ და თავისით მოვლენო.

90-იანებში ზნეობა ასე დაცემული არ ყოფილა, როგორც დღეს. ახლა უმძიმესი ვითარებაა. მომავალ თაობას ვკარგავთ. ჩვენი ქვეყნის მომავალი კი სწორედ მათ ხელშია. ჩვენი შეკრების მიზანი და ამოცანა, პირველ რიგში, ახალგაზრდა თაობების მოვლა, მათი ზნეკეთილად აღზრდა უნდა გახდეს“, — თქვა დედა იოანამ.

ამ იდეით გადავინაცვლეთ სასტუმრო ოთახიდან ეკლესიაში, სადაც **დედა იოანამ** ხახულის ღვთისმშობელს პარაკლისი გადაუხადა.

ვიდექით და ვლოცულობდით საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის, ახალგაზრდებისთვის, საკუთარი სულებისთვის ახალი შუამთის XVI საუკუნის უნიკალურ ტაძარში. ტაძრის კედლებიდან ფერებმიმქრალი, დროისა და ურწმუნოთა ხელთაგან აქა-იქ ამოგლეჯილი ხატების ფრაგმენტები გვიმზერდნენ მშვიდად, ღვთიური ძალმოსილებით.

როგორც აღმოჩნდა, ტაძარს გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებია რესტავრაცია...

ახალი შუამთა კი იმის გარდა, რომ იქ დედები მოღვაწეობენ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და შესაბამისი უწყება, პირველ რიგში, სწორედ ასეთ რამეებს უნდა აქცევდეს ყურადღებას და არა ჯაზ და როკ-ფესტივალებს ამ ბოლო ხანებში გახშირებული ფატალური შედეგებით...

ახალი შუამთიდან „შუამთის საძმოს“ წევრები ალავერდელ მთავარეპისკოპოსს, **მეუფე დავითს (მახარაძეს)** ვესტუმრეთ.

მეუფის შესანიშნავი მასპინძლობის შესახებ ცალკე საუბარია აუცილებელი.

მხოლოდ ერთს დავძენ, შუაგულ კახეთში სულიერების უმთავრეს და უმძლავრეს კერებს ორი ღვთისმოყვარე გურული იცავს აბბა ალავერდელი მეუფე დავითი (მახარაძე) და იღუმენია, დედა იოანა (ნიკოლაიშვილი).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი საქართველო გურიიდან კახეთამდე და კახეთიდან გურიამდე ერთი სატკივარით ცხოვრობს და ერთად იცავენ რწმენას და მამულს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

— მიუხედავად უამრავი ცოდვებისა და უკეთურობისა, რაც საქართველოში დაგროვდა და სუფევს, მაინც რატომ გვინდობს ღმერთი, რად არ გვსჯის ჩვენი ურჯულოებისთვის?

ღვთის წმინდა განგებულებით, საქართველოს უდიდესი როლი აქვს მინიჭებული. ჩვენი ქვეყანა უფლის კვართის ქვეყანაა და ამ კვართის მცველი ერი. არ შეიძლება არ იყოს ქრისტიანი. ქრისტიანი რომ იყოს, უნდა გააჩნდეს თავმდაბლობა. განსაცდელებისა და დაცემების გარეშე თავმდაბლობას ვერ მივაღწევთ, რადგან, წმინდა იოანე კიბისაღმწერელის თანახმად, სწავლება ამპარტავნებისა დაცემა არს.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის

ნელი ცენტერაძე-კალანდაძის

გარდაცვალებას.

ქალბატონი ნელი წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო გულისხმიერი, კეთილშობილი ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე, ერთგული მეგობარი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა.

მეგობრები

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს „საერთო გაზეთის“ ჟურნალისტს ირანდა კალანდაძეს დედის **ნელი ცენტერაძე-კალანდაძის** გარდაცვალების გამო.

„საერთო გაზეთი“

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983